# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№ 26-27 (9857-58) 2025 წლის 24 თებერვალი, ორშაბათი

ფასი 1,5 ლარი


ნუგზარ ფოფხაძე:

## თაობები გახლეჩილია- ასაკობრივად! პროფესიულად! პოლიტიკურად!

3



12

გიორგი მამაცაშვილი:

## ძალიან, ძალიან მწარედ ვინანებთ!



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

### ლამაზი სული

მაკა ჯოხაძე:

## ანას იდუმალება



9

მეექვსე ზღაპარი



### საქართველო ევრო ბასკეტზე

14

თეიმურაზ ქორიძე

## პრიმიტივიზმი პრიმიტივიზმი პრიმიტივიზმი...

PRIMITIVUS

## უტიფარი ტყუილი სულ რაღაც 1000 დოლარი ღირს!

5

კონსერვატორი ლიბერალისთვის არის მეტოქე – ტრამპს ვერ უტევენ, მაგრამ აგერაა პატარა საქართველო და შეიძლება ის გახდეს დარტყმის საგანი...

## ფარული დასი და ვიკიპედია

8

## ქრონიკა

2025 წლის 21 თებერვალს **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში** გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა შემდეგი შემადგენლობით: **გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, არჩილ გოგელია, ნანა დევდარიანი, აკაკი სიხარულიძე, გონდო მძინარაშვილი, ჯაბა ხუბუა, ვახტანგ (ბოჩა) ხუნდაძე.** სხდომას საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო პრეზიდიუმის წევრი **ნანა ლომაია.**

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული გაზეთ „ასავალ-დასავალის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ლაშა ნადარეიშვილი.** საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის **გიორგი მამაცაშვილის** პირველ მოადგილედ დაინიშნა **ნანა დევდარიანი,** მოადგილეებად — **გონდო მძინარაშვილი, ჯაბა ხუბუა, აკაკი სიხარულიძე** და **ვახტანგ (ბოჩა) ხუნდაძე,** ჟურნალისტთა ფედერაციის მდივნებად — **თეიმურაზ ქორიძე, თამარ ბოლქვაძე** და **ზურაბ მეგრელიძე.**

პრეზიდიუმმა იმსჯელა არაერთ აქტუალურ საკითხზე, რომელთა გადაწყვეტასაც საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია უახლოეს მომავალში გეგმავს.

## ირაკლი კობახიძე:

# საქართველოში 1921 წლის სცენარი არ განმეორდა!

**პრემიერის თქმით, კონკრეტულმა ძალებმა გააკეთეს ყველაფერი,იმისათვის, რომ საქართველოში განმეორებულიყო 1921 წლის სცენარი.**

– კონკრეტულმა ძალებმა გააკეთეს ყველაფერი, იმისათვის რომ საქართველოში განმეორებულიყო 1921 წლის სცენარი, თუმცა მთავრობა აკეთებდა ამის საპირისპიროდ ყველაფერს, იმისათვის, რომ შეგვენარჩუნებინა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა, ქვეყნის უსაფრთხოება და ამ ბრძოლაში ჩვენ ვიყავით წარმატებულები, მიუხედავად იმისა, რომ იყო ძალიან დიდი ძალისხმევა მიმართული საქართველოს მეორე ფრონტის გახსნისკენ. იყო პირდაპირი მოთხოვნები, მოწოდებები, პირდაპირი კოორდინაცია რადიკალურ ოპოზიციასთან, თუმცა საქართველოში 1921 წლის სცენარი არ განმეორდა და ეს არის საქართველოს ხელისუფლების დამსახურება!..

ჩვენ გვჭირდება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის, კანონმდებლობით და ამას ემსახურება თითოეული ის კანონპროექტი, რომელიც დაინიცირდა პარლამენტში, ეს ეხება, მათ შორის, „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს, სადაც კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრეა საჭირო, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერის თქმით, თითოეული დაინიცირებული კანონპროექტი ერთად წარმოადგენს დიფ სთეითის საწინააღმდეგო პაკეტს, რათა ბოლომდე იყოს დაცული ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება.

* * *

– **თქვენ** იცით ისტორია სამშობლოს ღალატის შესახებ მუხლის. 2008 წელს, ომის დაწყებამდე დაახლოებით 1 თვით ადრე დააინიცირეს კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომელიც ითვალისწინებდა სამშობლოს ღალატის შესახებ ჩანაწერის ამოღებას და ომის დასრულებიდან 1 თვეში მიიღეს შესაბამისი კანონი. აშკარაა, რომ კონკრეტულ ადამიანებს ეშინოდათ სამშობლოს ღალატის მუხლის. ეს ყველაფერი პირდაპირ იყო დაკავშირებული 2008 წელს ომის დაწყებასთან. რა თქმა უნდა, ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია აღდგეს შესაბამისი ჩანაწერი საქართველოს კანონმდებლობაში იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ პრევენციაზე, რაც უკავშირდება სამშობლოს ღალატის დანაშაულის ჩადენას. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი მოღალატეა ქართულ პოლიტიკაში და მათ ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ კონკრეტული საკანონმდებლო მექანიზმები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი...

* * *

**უკრაინაში** ომის არიდება თავისუფლად შეიძლებოდა, თუმცა დიფ სთეითმა გააკეთა ყველაფერი იმისათვის, რომ ეს სამხედრო აგრესია შემდგარიყო, რაც არის უდიდესი დანაშაული არა მხოლოდ უკრაინელი ხალხის წინაშე, არამედ, მთლიანად კაცობრიობის წინაშე.

* * *

**– ჩვენ გვაქვს აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვის სურვილი და ამის შესახებ არაერთი განცხადება გავაკეთეთ. ჩვენ გვინდა არა მხოლოდ ურთიერთობების გადატვირთვა, არამედ უფრო მეტიც, გვინდა კონკრეტული გზამკვლევით, სუფთა ფურცლიდან განვაახლოთ სტრატეგიული პარტნიორობა. ეს არის ჩვენი ღია შეთავაზება ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიმართ. გვესმის, რომ დღეს ძალიან ბევრი საქმე აქვს ტრამპის ადმინისტრაციას, არის შიდა საქმეები მოსაგვარებელი, არის ომის დამთავრების საკითხი, რითაც არის დაკავებული ტრამპის ადმინისტრაცია. აქედან გამომდინარე, შეიძლება საკმარისი დრო ვერ გამოინახოს ამ ეტაპზე საქართველოსთვის, თუმცა ვფიქრობ, გარკვეულ ეტაპზე დადგება აუცილებლად ის დრო, როცა ტრამპის ადმინისტრაცია სერიოზულად დაინტერესდება ქართულ-ამერიკული ურთიერთობებით და ეს უნდა გახდეს საწინდარი იმისა, რომ გადაიტვირთოს ურთიერთობები საქართველოსა და აშშ-ს შორის.**






## მიხეილ ყაველაშვილი:

# თითოეული იუნკრის თავდადება, ვაჟკაცობა ცალკე აღებული გმირობის ამბავია!

**– ზუსტად 104 წლის წინ, 1921 წელს, 23 თებერვალს კოჯორ-ტაბახმელას გზაზე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდები, იუნკრები წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ. დღეს სწორედ ამ გმირ ახალგაზრდებს მივაგებთ პატივს.**

თითოეული იუნკრის თავდადება, ვაჟკაცობა ცალკე აღებული გმირობის ამბავია, რომელსაც განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. აღფრთოვანებას წარმოადგენს ჩვენი იუნკრების გამოჩენილი სიმამაცე, შეუპოვრობა მრავალრიცხოვან და ბევრად ძლიერ ჯართან ბრძოლაში. დიდება და მარადიული ხსოვნა ჩვენს საამაყო, გმირ იუნკრებს!

## შალვა პაპუაშვილი:

# დღე, რომლიც ყველა ქართველს უნდა გვაფხიზლებდეს

**შალვა პაპუაშვილმა იუნკრების დღესთან დაკავშირებით გუშინ ჟურნალისტებთან ისაუბრა.**

„დღეს აღვნიშნავთ იუნკრების ხსოვნის დღეს, როდესაც მოხდა მე-11 არმიის შემოჭრა საქართველოში, რომელსაც წინ აღუდგა ქართული არმია და მათში გამორჩეულები იყვნენ ომში გამოუცდელი ახალგაზრდები – იუნკრები. ისინი პირველები შეეგებნენ მტერს და ბევრი მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა. ეს დღე ჩვენ გვაგონებს, თუ რამდენად რთულია ის გარემო, სადაც საქართველო ისტორიულად ვითარდებოდა. ჩვენთვის ახალი არ არის საფრთხეები, რომელიც ამ რეგიონშია. 1921 წელსაც საფრთხეები რეალიზდა იმ მხრივ, რომ მოხდა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება, რაც ნიშნავს, რომ მოხდა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაპყრობა, არამედ ჩვენი მოსახლეობის გონების დაპყრობაც მაშინ, საბჭოთა იდეოლოგიით საზოგადოების გაჟღენთვა.

ეს საფრთხეები არსად მიდის. ჩვენი სახელმწიფოებრიობის 3000 წლის განმავლობაში მუდმივად გვიწევდა ასეთ საფრთხეებთან გამკლავება, ასეთი განლაგება გვარგუნა ბედმა, რომ ბევრ ქვეყანას ჰქონია ინტერესი ამ ქვეყნის, ამ ხალხის, ამ ტერიტორიის მიმართ. საფრთხეები დღესაც არსებობს იმის, რომ დაიპყრონ ჩვენი საზოგადოების გონი, აურიონ თავ-გზა გამოგონილი იდეოლოგიით, გაახედონ სხვა დროშისკენ, ამღერონ სხვა ჰიმნი და სხვა ქვეყნების, თუ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებით ატარონ და არა საკუთარი ქვეყნისა...

ამიტომ მნიშვნელოვანია, ამ დღეს ერთი მხრივ ჩვენი იუნკრების, მათი გმირობის გახსენება, მეორე მხრივ ყველამ ჩვენ თავს უნდა შევახსენოთ, რომ იუნკრების გმირობა გარდა იმისა, რომ მოგონებული უნდა იყოს, ასევე გააზრებული უნდა იყოს, თუ რაში მდგომარეობდა ის“, – აღნიშნა პაპუაშვილმა.

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია: ეს ყალბი ინფორმაციაა!

**ვეხმიანებით** ტელეკომპანია „პირველის“ მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს 23 წლის ახალგაზრდის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა პირმა, გიორგი პაპაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ ყაველაშვილის მიერ განხორციელებული შეწყალების აქტის შედეგად დატოვა საპატიმრო, – შესაბამის განცხადებას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ადმინისტრაციის ცნობით, გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და პირდაპირ ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და პრეზიდენტის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას.

„მოვუწოდებთ აღნიშნულ ტელეკომპანიას, გამოასწორონ შეცდომა და თავი შეიკავონ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისგან“, – წერია ინფორმაციაში.



## ზელენსკი: მზად ვარ, თანამდებობა დავტოვო, თუ ეს უკრაინისთვის მშვიდობას ნიშნავს!

**უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი ამბობს, რომ იგი ხელისუფლებაში ყოფნას დიდხანს არ აპირებს და ამატებს, რომ მზად არის, მშვიდობის ან უკრაინის NATO-ში გაწევრების სანაცვლოდ, თანამდებობიდან გადადგეს:**

„მზად ვარ, თანამდებობა დავტოვო, თუ ეს უკრაინისთვის მშვიდობას ნიშნავს. ან გავცვალო თანამდებობა NATO-ს წევრობაზე, ძალაუფლებაში ათწლეულის მანძილზე ყოფნას არ ვაპირებ“ – თქვა მან.

ამასთანავე, ზელენსკიმ ხაზი გაუსვა, რომ „ეს არ არის მოლაპარაკებების მაგიდა, სადაც უკრაინას იწვევენ, ეს ჩვენი მაგიდაა, სადაც ჩვენ ვიწვევთ. უკრაინა, ევროპა, აშშ და რუსეთი: ეს უნდა იყოს მოლაპარაკებებზე მონაწილე მხარეების სია“.

საქართველოს რესპუბლიკა

## ნუგზარ ფოფხაძე ლიზა გეგეჭკორს:

# თაობები გახლეჩილია– ასაკობრივად! პროფესიულად! პოლიტიკურად!



**შენ** პოსტს „პრეზიდენტ“ **ზურაბიშვილთან დაკავშირებული ინციდენტის გამო, საგანგებოდ ვაზიარებ.**

თანაც, ცხელ გულზე.

მაქვს ამის მიზეზი.

არაერთგზის გამომიხატავს საჯარო პუბლიკაციებით ჩემი უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება მავანთა, მათ შორის ამ ე.წ. თვითმარქვია პრეზიდენტის მიმართ,. ასევე, ამა თუ იმ მსგავსი ინციდენტების თუ მოვლენის მიმართ. ამ მოვლენებს შორის იყო მწვავე პუბლიკაცია ამ ქალბატონის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის პერიოდშიც...

და მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა სალომე ზურაბიშვილი ან რომელიმე სხვა პოლიტიკოსი, ის, რაც ახლა ხდება (ორივე მხრიდან), საჯაროდ, შინ და გარეთ, მოქმედ, პარლამენტში ახლადარჩეული თუ ზოგიერთი ყოფილი დეპუტატის მიმართ (ელისო ბოლქვაძე, გახარია, ზარქუა, სანიკიძე...) არის ყოვლად **სამარცხვინო** და **ამაზრზენი.**

ასევე, მიამიტობა იქნებოდა, რბილად შეფასებულიყო ტელეეკრანებიდან დანახული ზოგიერთი პროტესტანტი ახალგაზრდის ქცევა... ბილწსიტყვაობით სავსე სიმღერა... ჟესტიკულაცია... ან, ამა თუ იმ ცნობადი, „გამობრძმედილი“, ე.წ. პოლიტიკოსის თუ ჟურნალისტის (ორივე მხრიდან) რიტორიკა – უხამსი, სკაბრეზული, დამცინავი, დამამცირებელი „იარლიყები“...

ეს მოვლენები, ფაქტები არ არის მხოლოდ დაბალი პოლიტიკური კულტურის გამოვლინება. ეს ერთობ რბილი შეფასება იქნებოდა. ასეთი ქცევა გახლავთ **ველურობა(!).** დიახ, მხოლოდ და მხოლოდ **ველურობა!**

დღევანდელი დაძაბული ვითარებისა გამო, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქართველოს **მტრების** უტვინო (თუ „ტვინიან“) თავებში იხარშება (თუ უკვე მოხარშული არ გახლავთ) საზოგადოების მიყვანა აშკარა სამოქალაქო დაპირისპირებამდე.

ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ვცდები.

ვისაც მეხსიერება არ ღალატობს, ვინც არის საქმეში ჩახედული, შეუძლებელია არ ახსოვდეს ის, თუ რა მოხდა 80-90-იანი წლების გასაყარზე, როცა ასეთმა თავაშვებულობამ, „საძმოების“ თუ სხვა შეიარაღებული ბანდების თარეშმა, რა დამღუპველი შედეგები მოუტანა ქვეყანას

არადა, ყველაფერი ეს დაიწყო არასასურველი პოლიტიკური მოწინააღმდეგების უშვერი ლანძღვა-გინებით, ყოვლად მოურიდებელი „იარლიყების“ მიკერებით, ჯერ „უბრალო“ – კვერცხით თუ პომიდვრით „მიალერსებით“, რაც მალევე გადაიზარდა ჯერ ქვების სროლაში, შემდეგ კი ტყვიების ზუზუნში.

ახალთაობას, ეტყობა, არასაკმარისად აეხსნა ამ ტრაგედიის, ეროვნული უბედურების მიზეზები. მან ჯერაც არ იცის, რას ნიშნავს სამოქალაქო ომი – ყველაზე უაზრო, დამღუპველი, საშინელი და სისხლისმღვრელი ძმათა სასაკლაო... არც საშუალო და უფროსი თაობის არაერთი წარმომადგენელი აღმოჩნდა სიბრძნესთან დამეგობრებული.

არადა, სწორედ ეს სიბრძნე გვკარნახობს, რომ მეოთხედი საუკუნის წინანდელი ფეთქებადი ვითარება წყლის ორი წვეთივით

**„ბატონო ნუგზარ, უძვირფასესო და უსაყვარლესო, მოგეხსენებათ, რაოდენ დიდ პატივს გცემთ და რამდენი მისწავლია თქვენგან, ასევე მინდა გამოვთქვა იმედი, რომ სამომავლოდაც ბევრს ვისწავლი და გავიზიარებ თქვენს უძვირფასეს გამოცდილებას. აქვე დავძენ, რომ დრო შეიცვალა, ასევე შეამჩნევდით და შეიცვალა მედია, მისი სტანდარტები, რაც მე არ მახარებს, თუმცა, იძულებული ვარ, დავემორჩილო ცვლილებებს. პირადად მე მსურს ღირსეული, საინტერესო, ინტელექტუალი და ფაქტებით შეიარაღებული ოპოზიცია, მათთან საგნობრივ დავას აზრიც აქვს და გარკვეული აზარტიც, თუმცა, თქვენ მთხოვთ, ვესაუბრო ვიღაცებს. ვესაუბრო ვის??? ვინ არიან საპირისპირო მხარეს?“**

ჰგავს დღევანდელ რეალობას...

შეუიარაღებელი თვალითაც კი ცხადია, რომ:

საზოგადოება გახლეჩილია!

თანაც, მრავალწახნაგოვნად:

ასაკობრივად, პროფესიულად, სოციალურად, პოლიტიკურად...

თაობები – დაპირისპირებული!

ოჯახებშიც კი პოლიტიკის გამო განხეთქილებაა (არ გეცნობათ?). სხვას რომ თავი დავანებოთ, ყოვლად უკადრებელს კადრულობს სქართველოს დაუძინებელი მტერი: შვილებს უნერგავენ მტრობის და სირცხვილის გრძნობას მშობლების მიმართ, მათ საწინააღმდეგოდ აქეზებენ და მოუწოდებენ, საჯაროდ დაგმონ საკუთარი დედ-მამა... (პავლიკ მოროზოვი გაგიგიათ?); „კრიტიკულად“ და „სამთავრობოდ“ დაყოფილი მედიიდან უწყვეტად მოედინება ღვარძლი, მუქარა, აღსავსე აღვირახსნილი ბილწსიტყვაობით და ლანძღვა-გინებით; არცთუ იშვიათად, ცემა-ტყეპით, რაც, ზოგჯერ, გამოწვეულია წამყვანის არაკომპეტენტურობით, წაქეზებით...

ჟურნალისტიკა გადაქცეულია „ზონდერისტიკად“! განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან გამომძიებელი ჟურნალისტი ქალბატონები, რომელთა გამომწვევი მოქმედება ცდება ადამიანური ურთიერთობის ფარგლებს და იწვევს საპასუხო ადეკვატურ რეაქციას. ყოველივე ეს აკნინებს იმ აშკარად სასარგებლო საქმეს, რასაც ისინი აკეთებენ ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურაში მოკალათებული კორუმპირებული არამზადების მხილებისთვის.

და ყველაფერი ეს მიმდინარეობს „უკეთილშობილესი მიზნის“ ( თავისუფლება, სამშობლო, ევროპა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა...) განსახორციელებლად...

შინაური თუ გარეული მტრის მიერ ჩვენს თავმოხვეულ ჩვენს „შინა ომში“ ყველა დავმარცხდებით!

**ყველა!**

ანუ, როგორც 90-იანებში, ახლაც დამარცხდება მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მამული, მხოლოდ ჩვენი **საქართველო!**

გამარჯვებულიც იქნება, ერთადერთი გამარჯვებული: ჩვენი სამშობლოს მტერი!

ვგონებ, დროა, გავაცოცხლოთ დიდი ჭაბუას გაფრთხილება:

**ჭკუით,** ქართველებო!

და ეს მოწოდება **ყველას** ეხება! აბსოლუტურად ყ ვე ლ ა ს, ბარიკადების ორივე მხარეს, დიდს თუ პატარას, ვისთვისაც საქართველო სამშობლოა და არა...

ეს არის და ეს, ჩემო ლიზა!

ყველას თავისი სიმართლე აქვს. არ გედავები შენც! მეც! მხოლოდ ბევრისგან განსხვავებით, მე მწარე გამოცდილება მაქვს, უმწარესი! ჰოდა, არ მინდა, შენისთანა ანგელოზებმა (ჩემმა შვილიშვილებმაც) საკუთარ თავზე გამოსცადონ ის სიმწარე,

დასასრული მე-6 გვ.

**„ახალ თაობას, ეტყობა, არასაკმარისად აეხსნა ამ ტრაგედიის, ეროვნული უბედურების მიზეზები. მან ჯერაც არ იცის, რას ნიშნავს სამოქალაქო ომი — ყველაზე უაზრო, დამღუპველი, საშინელი და სისხლისმღვრელი ძმათა სასაკლაო... არც საშუალო და უფროსი თაობის არაერთი წარმომადგენელი აღმოჩნდა სიბრძნესთან დამეგობრებული“.**



# პრიმიტივიზმი
# პრიმიტივიზმი
# პრიმიტივიზმი...



ლორა თორტონი

**ეს ლათინური ტერმინი (პრიმიტივიზმი), უპირველეს ყოვლისა, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების გზაგასაყარზე ევროპულ მხატვრობაში ფართოდ გავრცელებულ მიმდინარეობას გვახსენებს და პირდაპირი გაგებით, რაიმე რთული საკითხისადმი გაუბრალოებულ მიდგომას ნიშნავს. ვიმეორებ, ნიშნავს პრიმიტივიზმის მიმდევრის გაუბრალოებულ მიდგომას რაიმე რთული საკითხისადმი და არა მის უვიცობას ან გონებაჩლუნგობას. თუმცა, როცა საქმე პოლიტიკას ან ჩახლართული საერთაშორისო მოვლენების ადამიანურ ენაზე განმარტებას ეხება, სიჩლუნგე-უვიცობის მაგალითებიც საკმარისზე მეტად ხშირია.**

უფროსმა თაობამ შესანიშნავად იცის, მაგრამ ახალგაზრდობის გასაგონად ვიტყვი, რომ პოლიტიკური პრივიტივიზმის კლასიკური ნიმუში გახლდათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1953-1963 წლებში ნიკიტა ხრუშჩოვი. ეს ეხება მთლიანად მის „პოლიტიკურ მოღვაწეობას“, სიტყვით გამოსვლებს და, საერთოდ, სიტყვა-პასუხსაც.

იმედია, „მაკკეინის ინსტიტუტის“ გლობალური დემოკრატიის პროგრამების დირექტორს, საქართველოში NDI-ის ოფისის ყოფილ ხელმძღვანელს, ქალბატონ ლორა თორტონს სამგზის სოციალისტური შრომის გმირის, ნიკიტა სერგეევიჩის გვერდით მოხსენიება ეამება კიდეც. ამიტომ თანამედროვე მშობლიურ პრიმიტივიზმზე საუბარს სწორედ მისი შეგონებებით დავიწყებ.

მაშ ასე, ვნახოთ რას გვასწავლის, უფრო ზუსტად, რას ურჩევს ქართველ რადიკალებს ქალბატონი ლორა თორტონი: „საქართველოში 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ უკანონოდ მოიწვია პარლამენტი, დანიშნა ახალი პრეზიდენტი და ქვეყანა გამოიყვანა ევროკავშირში გაწევრების პროცესიდან... უკვე ორი თვეა, ქართველი ხალხი პროტესტს გამოხატავს ახალი არჩევნების მოთხოვნით. საპროტესტო გამოსვლების დაწყების შემდეგ 500-ზე მეტი ადამიანი დააკავეს და 300 აწამეს „ქართული ოცნების“ ბანდიტებმა

აზიაში ათწლეულების განმავლობაში ცხოვრების შემდეგ მე დამაინტერესა დიქტატორების ჩამოგდების რამდენიმე გამორჩეულმა მაგალითმა, როგორებიც იყვნენ ფერდინანდ მარკოსი, სუჰარტო და შეიხი ჰასინა.

**ეროვნული გაფიცვებითა და ბოიკოტებით ხალხმა ქვეყნები პრაქტიკულად უმართავი გახადა. უსაფრთხოების ძალები და სამხედროებიც კი პირადად იყვნენ დაკავშირებული პროტესტის მონაწილეებთან. მარკოსის შემთხვევაში, მთავრობის მიერ პროტესტის მონაწილეთა დახოცვა იქცა იმ გადამწყვეტ მომენტად, რომელმაც ქუჩაში გამოიყვანა ისინიც კი, ვინც სხვა შემთხვევაში სახლში დარჩებოდა. მოძრაობის გადასვლა ღამის პროტესტებიდან მთელი დღის განმავლობაში საყოველთაო სამოქალაქო დაუმორჩილებლობასა და გაფიცვებზე – ნაგვის არგატანა, ბანკის მოლარეების სამსახურში გამოუცხადებლობა, სატვირთო მანქანების მძღოლების შინ დარჩენა ეკონომიკის პარალიზებას მოახდენდა და მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ზეწოლას „ქართულ ოცნებაზე“.**

ბოდიშს ვიხდი ვრცელი ამონარიდისთვის, მაგრამ გთხოვთ, კიდევ ერთხელ ყურადღებით გადახედოთ ქართველი რადიკალების ამერიკელი მეგობრის შეგონებებს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების აუცილებლობისა და მისი განხორციელების გზების თაობაზე.

უპირველეს ყოვლისა, ლორა თორტონი „მეგობარ“ საქართველოს ბნელ აზიურ ქვეყნად მიიჩნევს და სამაგალითოდაც არცთუ შორეული წარსულის აზიელ დიქტატორებს იშველიებს. შეგახსენებთ, რომ ფერდინანდ მარკოსი გახლდათ ფილიპინების დიქტატორ-პრეზიდენტი 1965-1986 წლებში, სუჰარტო – ინდონეზიის დიქტატორ-პრეზიდენტი 1967-1998 წლებში, შეიხი ჰასინა – ბანგლადეშის დიქტატორ-პრემიერი 1996-2001 და 2009-2014 წლებში.

**„მარკოსის შემთხვევაში, მთავრობის მიერ პროტესტის მონაწილეთა დახოცვა იქცა იმ გადამწყვეტ მომენტად, რომელმაც ქუჩაში გამოიყვანა ისინიც კი, ვინც სხვა შემთხვევაში სახლში დარჩებოდაო“**, შეახსენებს ქართული პროტესტის მშვიდობიანობით შეშფოთებული ლორა თორტონი ქართველ რადიკალებს და ამით პირდაპირ მოუწოდებს ადამიანური მსხვერპლშეწირვისკენ. ანუ ამ ქალბატონს მთლიანად თანამედროვე ქართველი საზოგადოება, უკლებლივ ყველა, პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, პრიმიტივებად, გონებაჩლუნგი ვიგინდარების ხროვად მიაჩნია. ამიტომაც მოუწოდებს, ყოველი ღონე იხმარონ, რათა საქართველოს ხელისუფლებამ პროტესტანტების წინააღმდეგ იარაღი გამოიყენოს და ქუჩაში რამდენიმე ადამიანს მაინც ტყვიით გაუსწორდეს!

**„მსახიობების“, „მწერლების“, „ხელოვნების მსახურებთან“ ერთად მენაგვეებს, მოლარეებს და მძღოლებსაც ნუ დაივიწყებთ – ხელისუფლების მოთმინებიდან გამოსაყვანად იქნებ მათი პროტესტიც გამოდგესო; მეგობარი ბანგლადეშელი გადამტრიალებლების დარად, პოლიციელებისა და ჯარისკაცების გადასაბირებლადაც იზრუნეთო... მოკლედ, მთლად დოიაშვილის და უცნობი მწერლების იმედად ყოფნაც არ გარგებთო.**

თანაც, 500 პატიმარი და 300 წამებულიო, კაცოო...

რაც ყველაზე სამწუხაროა, ქართველ რადიკალებს სწორედ ეს (და მისი თანამოაზრე სხვა) ადამიანი მიაჩნიათ მეგობრად და თანამოაზრედ; იზიარებენ მის შეხედულებას ქართველი ხალხის პრიმიტივობის, გონებრივი ჩამორჩენილობის შესახებ; იმედოვნებენ, რომ ხვალზეგ ამით უეჭველად ისარგებლებენ და ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობენ. თვალს მხოლოდ იმაზე ხუჭავენ და ყურსაც იმაზე იყრუებენ, რომ კოლექტიურ ლორას (ან ჯო უილსონს), გონებრივ მაჩანჩალებად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისინი მიაჩნია.

დეიდა ლორა იქით იყოს და, ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია, რომ საღი გონებისთვის აუხსნელ პრიმიტივისტულ განცხადებას აკეთებს, მაგალითად, ესპანეთის პრემიერ-მინისტრი პედრო სანჩესი: „ორშაბათს ვიქნები კიევში, რათა კიდევ ერთხელ დავადასტურო მხარდაჭერა უკრაინის დემოკრატიისა და პრეზიდენტ ზელენსკის მიმართ“.

**კი ბატონო, გასაგებია, რომ პედროს უყვარს ვოლოდიმირი და ამას არ მალავს. გაუგებარი და სასაცილო ის გახლავთ, რომ ერთ-ერთი უდიდესი ევროპული ქვეყნის პრემიერს ყელამდე ომში ჩაფლული, თუნდაც იძულებით, უკლებლივ ყველა დემოკრატიული ღირებულების უარმყოფელი უკრაინა დემოკრატიული ჰგონია! უფრო დამაჯერებელი კი ის გახლავთ, რომ ბატონმა სანჩესმა ყველაფერი იცის, მაგრამ თავისი ევროპელი „მეგობარი“ პოლიტიკოსების, ევროპელი ხალხების გაცუცურაკებას ლამობს.**

რატომ ლამობს? - ამ საკრამენტულ კითხვას ნაწილობრივი პასუხი რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრებისთანავე გაეცემა. მეტ-ნაკლებად სრულ პასუხს კი სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ თუ შევიტყობთ.

არანაკლებ „არალეგიტიმურია“ გვარამიავაშაძის მეგობარი ჯო უილსონის ეს განცხადებაც: „მოხარული ვარ, რომ ჩემს დიდ მეგობარს, საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს შევხვდი“.

იმეგობრე ვისთანაც გინდა და გიყვარდეს,



**ჩერგოლეიშვილი ჭკვიანი ქალია. იცის, ხვალზეგ გიგა ბოკერიას ნაკეთები ბნელი საქმეები უეჭველად ამოტივტივდება და საყვარელი მეუღლის ციხის კედლებისგან არიდებაზე ფიქრობს.**



ფერდინანდ მარკოსი



სუჰარტო



შეიხი ჰასინა

**უპირველეს ყოვლისა, ლორა თორტონი მეგობარ საქართველოს ბნელ აზიურ ქვეყნად მიიჩნევს და სამაგალითოდაც არცთუ შორეული წარსულის აზიელ დიქტატორებს იშველიებს. შეგახსენებთ, რომ ფერდინანდ მარკოსი გახლდათ ფილიპინების დიქტატორ-პრეზიდენტი 1965-1986 წლებში, სუჰარტო — ინდონეზიის დიქტატორ-პრეზიდენტი 1967-1998 წლებში, შეიხი ჰასინა — ბანგლადეშის დიქტატორ-პრემიერი 1996-2001 და 2009-2014 წლებში.**

# ვაი თქვენს პატრონს, უილსონებო!

საქართველოს რესპუბლიკა


Mzia Saganelidze (RFE/RL)

**თებერვლის შუა რიცხვებში რუსთაველზე მოპროტესტე რადიკალების ერთმა ჯგუფმა გამოიტანა და შუა ქუჩაში გამოფინა ჯერ კიდევ გუშინდლამდე საოცნებო აშშ-ის დროშით შეფუთული, სიმბოლური თაგვე-ბითა და ტარაკნებით გარშემორტყმული... ბიძინა ივანიშვილის ფიტული.**

ვინც გინდა, მაგრამ რა შუაშია ვადაგასული პრეზიდენტის ლეგიტიმურობა?! ძია ჯო არ ჩანს ისეთი კაცი, ჯო ბაიდენი, ფერდინანდ მარკოსი ან სალომე ზურაბიშვილი დღესაც რომ მოქმედ პრეზიდენტებად ეჩვენებო-დეს. ამას მისი ქართველი „მეგობრების“ საბოლოოდ გამოსაყეყეჩებლად ბრძანებს. და თუ უშუალო ადრესატების რეაქციასაც გავითვ-ალისწინებთ, არცთუ უშედეგოდ - გავიხსენოთ, საქართველოში შარშანდელიდან ასე აღზე-ვებული ლოზუნგები: ზელენსკი მსოფლიო პრეზიდენტია! საქართველოში მძვინვარებს ივანიშვილის რეჟიმი! ქართული არჩევნები არალეგიტიმურია! ქართული პარლამენტი და მთავრობა არალეგიტიმურია! მოქმედი კანონის თანახმად არჩეული პრეზიდენტი ყაველაშვილი არალეგიტიმურია! ვადაგასული ზურაბიშვილი ლეგიტიმური პრეზიდენტია!

გვარს არ დავასახელებ და, კიდევ ერთი „მეგობარი“ ესტონელი ევროპარლამე-ნტარის პრიმიტიული „სიბრძნეც“ გავიხსენ-ოთ: „საჭიროების შემთხვევაში, ევროპამ სანქციები უნდა დაუწესოს აშშ-საც – ტრამპი, ისევე, როგორც პუტინი, მხოლოდ ძალის ენას აღიქვამს“. ანუ, მოდი ერთი, ამერიკას შევუყეფოთ, ვინ იცის, იქნებ შეშინდეს და თავის გადასარჩენად დოლარების ზვინე-ბი გადმოგვაყაროსო! იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ამ სალო ბაზოს „მეგობარ“ ევროპარლამენტარს, სამხედრო თვალსა-ზრისით მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების, აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტები მშიშრები და პრიმიტივები ჰგონია. და ამაში თავისი შორეული ქართველ-აზიელი „მეგობრე-ბის“ დარწმუნებასაც ცდილობს. თუ დიდი ქართველი პოლიტიკოსების რეაქციებსაც გავითვალისწინებთ - არცთუ წარუმატებლად:

**დავით დარჩიაშვილი: „მეგობრებო, ტრამპი არის ცუდი სიზმარი“.**

ირაკლი წულაია: **„ტრამპის განცხადებე-ბი აბსოლუტურად თანხვედრაშია პუტინის ინტერესებთან. მან პუტინის პოლიტიკა დაიწყო ამერიკაში“.**

**კოტე კემულარია: „რაც შეეხება რე-იტინგებს?!?! ზელენსკი დიდად უსწრებს ტრამპს!!! ტრამპი, როგორც ჩანს, პუტინის მიერ სატელეფონო საუბრისას მიწოდებულ ციფრებს დაეყრდნო!“**

ვფიქრობ, კომენტარი საჭირო არ უნდა იყოს.

ევროპიდან ნაკარნახევი ქართული ეროვნული პრიმიტივიზმის კიდევ რამდენ-იმე ნიმუში:

**სალომე ზურაბიშვილი:** „ჩემთან მოვიდა უკვე რამდენიმე გზავნილი ბიზნეს წრეებიდან, რომლებსაც ვთვლით, რომ არიან პირველი ვთქვათ წრე, ივანიშვილის პირველი საყრდენი და ჩვენ არ ვართ ის, რაც გგონიათ და ა.შ. ასე რომ, ჩემთან თუ მოვიდა, ეს არის იმისთვის, რომ იქ იყოს ნათქვამი. სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ სანქციები მუშაობს. თუნდაც, როცა არ არის ჯერ დაწესებული სანქციები და ყველას ძალიან კარგად ესმის და პირველ რიგში, ვინც არის ამ ბიზნესში ჩართული, თუ რამდენია დასაკარგი ამ სანქციებით. ასე რომ, ეს წნეხი მოქმედებს.“

მაპატიეთ, „ლეგიტიმური პრეზიდენტის“ მხურვალე მხარდამჭერებო, მაგრამ შეეშვით ამ საწყალ ნაპრეზიდენტალ ქალბატონს და გააცილეთ მშობლიურ საფრანგეთში გორჯ-ესტანთან ერთად. ან დაიქირავეთ ვინმე სალომოლოგი მისი ბრძნული გამონათქ-ვამების გადმოსაქართულებლად თუ არა, გადასაფრანგულებლად მაინც. ხაზარაძე მაინც არ გებრალებათ? დაიტანჯა კაცი სალომისტური სემიოლოგიის სწავლით!

**თამარ ჩერგოლეიშვილი:** „ფედერალ-ისტები ავიღებთ 20%-ს, „ქართული ოცნების ამომრჩევლები ჩვენ დაგვიჭერენ მხარს, ცვლილებების შემთხვევაში „ქართული ოცნე-ბა“, როგორც ძალა, გაქრება“.

ეს გახლავთ ვარსკვლავური პრიმიტივიზმის უდავო შედევრი – სააკაშვილის დანაშაულე-ბრივი რეჟიმის დამამხობელი „ოცნების“ მხარდამჭერები ხმას სააკაშვილის აღმზევებ-ელი ბოკერიას პარტიას მისცემენ და თვითონ სადღაც მოუსავლეთში გადაიკარგებიანო! ჩერგოლეიშვილი ჭკვიანი ქალია. იცის, ხვალ-ზეგ გიგა ბოკერიას ნაკეთები ბნელი საქმეები უეჭველად ამოტივტივდება და საყვარელი მეუღლის ციხის კედლებისგან არიდებაზე ფიქრობს. **ეეჰ, თამუნია, თამუნია...**

**ერთი უაღესად მავნებლური, აღმაშფ-ოთებელი პრიმიტივიზმის ნიმუშიც და ამით დავამთავრებ.**

**თებერვლის შუა რიცხვებში რუსთა-ველზე მოპროტესტე რადიკალების ერთმა ჯგუფმა გამოიტანა და შუა ქუჩაში გამოფინა ჯერ კიდევ გუშინდლამდე საოცნებო აშშ-ის დროშით შეფუთული, სიმბოლური თაგვებითა და ტარაკ-ნებით გარშემორტყმული... ბიძინა ივანიშვილის ფიტული.**

თავი დავანებოთ, რომ საკუთარ უსუსურობაზე მიმანიშნებელ ასეთ ქმედე-ბას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს; იმასაც, რომ ასეთი მდაბიო საქციელი არ შეეფერება საკუთარი თავის ოდნავ მაინც პატივისმცემელ ადამიანს –პოლიტიკურმა პროტესტანტებმა ეს ფიტული ქუჩაში ახალგაზრდობის, ბავშვების, საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების დასანახად გამოფინეს.

**ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა პრიმიტივიზმისა და უვიცობის უსაზღვროება – რადიკალურმა ოპოზიციამ არ იცის, რომ ასეთი მდაბიო ქმე-დებით ვერც ქართულ ოცნებას, ვერც პირადად ივანიშვილს ვერ-აფერს დააკლებს; არ იცის, რომ ხვალ ეს მდაბიოობა საკუთარ ოჯახში, საკუთარი შვილებისა და შვილიშვილებისაგან მომაკვდინე-ბელ რისხვად შემოუბრუნდება; რომ ეს არ ეკადრება „ვეფხვისა და მოყმის“ შემო-ქმედ ერს.**



დიდი ქართ-ველი პრიმიტი-ვისტი ნიკალა ფიროსმანი ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა...

**თეიმურაზ ქორიძე**
22. 02.2025

# უტიფარი ტყუილი სულ რაღაც 1000 დოლარი ღირს!

## კონსერვატორი ლიბერალისთვის არის მეტოქე – ტრამპს ვერ უტევენ, მაგრამ აბერაა პატარა საქართველო და შეიძლება ის გახდეს დარტყმის საგანი...

**პოლიტიკაში** მეორედ მოსვლა დაიწყო, შესაბამისად, საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას და პირველ რიგში, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მომავალი და არა ის, თუ რას დაწერს რომელიმე ევროპარლ-ამენტარი ევროპარლამენტის რეზოლუციაში ან რა განცხადებას გააკეთებს რადიკალური ოპოზიციის მიერ დაქირავებული ლობისტი, მაგალითად 1000-დოლარიანი ამერიკელი კონგრესმენი ჯო უილსონი, რომელიც 26 ოქტომბრის შემდეგ შეშფოთებული დარჩა და ამტკიცებს, რომ საქართველოში ჩატარებულ გაყალბებულ არჩევნებს რეპრესიები მოჰყვა.

**„მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, დაჟინებით მოითხოვონ ახალი არჩევნები საქართველოში და უარი თქვან რეგულარულ ურთიერთობა-ზე „ქართული ოცნების“ დიქტატურასთან. „ქართული ოცნების“ დღევანდელი დელეგაცია არალეგიტიმურია და არ არის არჩეული თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში, როგორც ეს დადგენილია დამკვირვებლე-ბის მიერ მთელ მსოფლიოში“, – თქვა ჯო**


ჯო უილსონი

**უილსონმა და მის ანგარიშზე მორიგი 1000 დოლარი ჩაირიცხა.**

უილსონი საქართველოს ხელისუფლების კრიტიკაში თანხას იღებს და ამის შესახებ აღნიშნულია ამერიკულ „ფარა“-ში, მაგრამ რა ინტერესებს ემსახურება პოლონელი დიპლომატის განცხადება, რომელიც ტყ-უილზეა აგებული, ჯერჯერობით უცნობია. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რადოსლავ სიკორსკი აცხადებს, რომ ისინი საქართველოსგან მოელიან ანტიევროპული ტრენდის შებრუნებას, რომელიც ქვეყანაში „ქართულმა ოცნებამ“ დაამკვიდრა და მხარდაჭერა გამოხატა ქართველი საზოგადოე-ბის პროევროპული მისწრაფებების მიმართ.

**„სამწუხაროდ, გაფართოების პოლიტიკის ფარგლებში ასევე უარყოფით ტრენდებს ვადევნებთ თვალს. მოველით ანტიევროპული ტრენდის შებრუნებას, რომელიც საქართ-ველოში „ქართულმა ოცნებამ“ დაამკვიდრა – რომელიც ხელისუფლებაში საეჭვო სტა-ნდარტების საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოვიდა. ევროკავშირის საბჭოში პრეზიდენტები მხარს დაუჭერს ქართველი საზოგადოების პროევროპულ მისწრაფებ-ებს“,** – განაცხადა რადოსლავ სიკორსკიმ.

პოლონელ დიპლომატს პასუხობს ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი,** რომლის განცხადებით, საქართველოს მიმართ ეს უსინდისო განცხადე-ბაა, რადგან არავითარი ანტიევროპული საქართველოში არ არსებობს. როგორც ვოლსკი აცხადებს, ევროპული სტანდა-რტის დამკვიდრებაში პოლონეთსაც ბევრი მიმართულებით ვჯობივართ. მისი თქმით, ევროკავშირის გარკვეული წრის მონდომე-ბაა, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოს და სწორედ ამ მიზანს ემსახუ-რება რადოსლავ სიკორსკის განცხადებაც.

**„ვფიქრობ, ჩვენს მიმართ ეს უსინდისო განცხადებაა ამ ადამიანის მხრიდან. ის პირდაპირ დაკავშირებულია გარკვეულ პროცესებთან, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მიმართ რაღაც ანტაგონ-ისტური ალიანსის შექმნას. თვითონ, მისი მეუღლე, რომელიც დიდი ფონდის მართვის საბჭოს წევრია, კონკრეტულად NED-ის და ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ ამოცანაზე არიან ორიენტირებული, რომ როგორმე საქართველოში ისეთი პრობლე-მები შეიქმნას, რომელიც ხელისუფლებას შეცვლის.**

**არავითარი ანტიევროპული არ არსებობს საქართველოში. ყველა მაჩვენებლით წინ ვართ, მათ შორის პოლონეთთან მიმართებაში – გინდა კორუფციასთან ბრძოლის თემა იყოს, გინდაც სასამართლოს სამართლიანობა და გინდა მართვის გამჭვირვალობა. პოლონე-თსაც ბევრი მიმართულებით ვჯობივართ ევროპული სტანდარტის დამკვიდრებაში. ეს არის მთავარი და არა განწყობები და აღქმები, რომელიც ახალგაზრდებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს.**

**ამას ემსახურება სიკორსკის განცხადებაც, რადგან ერთი, რომ ფაქტები აბსოლუტურად სხვა არის და მეორე, საზოგადოება ხომ გრძნობს რა გეგმა და ამოცანა აქვს – ხელი-სუფლების შეცვლა საქართველოში, ეს არის ევროკავშირის გარკვეული წრის მონდომება და ამ შემთხვევაში უკვე საქართველო აშშ-ის ადმინისტრაციასთან დაპირისპირების პოლიგონად გადააქციეს. ეს არის რეა-ლობა და ამას ემსახურება, სამწუხაროდ, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი“,** – განაცხადა გია ვოლსკიმ.

„ქართული ოცნების“ წევრის **ირაკლი ქადაგიშვილის** განცხადებით, პოლონე-თის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართ-ველოს წინააღმდეგ პროპაგანდისტულ ომშია ჩართული, რომელსაც არგუმენტები არ გააჩნია.

**„ეს არის პროპაგანდისტული ომი. თუ მის განცხადების თითოეულ პუნქტს გავყვებით და ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ ამ განცხადებების უკან მას არანაირი არგუმენტი არ გააჩნია. დავიწყოთ „საეჭვო არჩევნებით“ – რატომ არის ეს არჩევნები საეჭვო, რაიმე არგუმენტი, გარდა იმისა, რომ მის აგე-ნტურულ ქსელში შემავალი რომელიღაცა „პოლიტიკოსისგან“ ანალოგიური განცხადე-ბა მოისმინა, რაიმე მტკიცებულება აქვს? ან**


რადოსლავ სიკორსკი

**რომელიმე საერთაშორისო დამკვირვებლის მიერ გამოთქმული რაიმე არგუმენტი აქვს ხელში? ან მის ქვეყანაში ტარდება არჩევ-ნები იმ სტანდარტით, რა სტანდარტითაც საქართველოშია? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ თუ იქ იმარჯვებს ის ძალა, რომელიც მათ-თვის, „დიფ სთეითისთვის“ სასარგებლოა, იქ ყველაფერი კარგადაა.**

დასასრული მე-13 გვ.

მესამე გვერდიდან



# თაობები გახლეჩილია– ასაკობრივად! პროფესიულად! პოლიტიკურად!

რაც ჩვენი თაობის შეცდომებით გამოსცადა საქართველომ!

**Soso Vashakidze**
ნიკა გვარამია:
– „კვერცხის სროლა არის ევროპული სტანდარტი, პროტესტის გამოხატვის მშვიდობიანი ფორმა, ბოლომდე ჯდება თავისუფლების ჩარჩოებში, არაფრის დაზიანება ამით არ ხდება“.

**Nugzar Popkhadze**
აკი ვამბობ, ყველას თავისი სიმართლე აქვს-თქო!

**Ketevan Kubaneishvili**
ეს რადიკალიზმი თავად ევროპელებმა გააღვივეს ჩვენში, და ეს სამწუხარო რეალობაა!

**Liza Gegechkori**
ბატონო ნუგზარ, უძვირფასესო და უსაყვარლესო, მოგეხსენებათ, რაოდენ დიდ პატივს გცემთ და რამდენი მისწავლია თქვენგან, ასევე მინდა გამოვთქვა იმედი, რომ სამომავლოდაც ბევრს ვისწავლი და გავიზიარებ თქვენს უძვირფასეს გამოცდილებას. აქვე დავძენ, რომ დრო შეიცვალა, ასევე შეამჩნევდით და შეიცვალა მედია, მისი სტანდარტები, რაც მე არ მახარებს, თუმცა, იძულებული ვარ, დავემორჩილო ცვლილებებს. პირადად მე მსურს ღირსეული, საინტერესო, ინტელექტუალი და ფაქტებით შეიარაღებული ოპოზიცია, მათთან საგნობრივ დავას აზრიც აქვს და გარკვეული აზარტიც, თუმცა, თქვენ მთხოვთ, ვესაუბრო ვიღაცებს. ვესაუბრო ვის??? ვინ არიან საპირისპირო მხარეს?

ეს ის ხალხია, ვინც პოლიციელებს (განურჩევლად სქესისა) პიროტექნიკით უსწორდებოდნენ.

ეს ის ხალხია, ვინც მოსამართლეებს (განურჩევლად სქესისა) აგინებდნენ, წყევლიდნენ, ცდილობდნენ, საკვებში ჩაუფურთხონ და ჩაუფსან...

ეს ის ხალხია, ვინც საახალწლო ნაძვისხეზე მისულ განსხვავებული პოზიციის მქონე მშობლებს (განურჩევლად სქესისა) და მათ მცირეწლოვან შვილებს უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და ადგილიდან ყრიდნენ.

ეს ის ხალხია, ნოდარ დუმბაძის შვილს რომ მწერალთა სახლში მიუვარდნენ და ქალი ისე შეუძლოდ გახადეს, რომ სასწრაფო დასჭირდა.

ეს ის ხალხია, ვინც წარმოუდგენელი სიტყვებით ლანძღავდნენ მსახიობებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს (განურჩევლად სქესისა) მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ლუკმაპურის ფულის საშოვნელად მონაწილეობას იღებდნენ ღონისძიებებში.

ეს ის ხალხია, რომლებიც გამოძახებაზე გასულ სასწრაფო დახმარების მანქანებს ბლოკავდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ იზიარებდნენ მათ აზრს და ასრულებდნენ მათ პირდაპირ მოვალეობას.

ეს ის ხალხია, ვინც „მოლოტოვის კოქტეილებით“ წვავდნენ საკანონმდებლო ორგანოს.

ეს ის ხალხია, ვისაც აქციებზე სანუკვარი მსხვერპლის (ადამიანის მოკვლა) დადება სურდათ, სურდათ რა, აწყობდათ, საქმეს სჭირდებოდა.

ეს ის ხალხია, ვინც მათგან განსხვავებული პოზიციის მქონე ჟურნალისტებს (განურჩევლად სქესისა) პიროტექნიკას დამიზნებით ესროდნენ.

ეს ის ხალხია, ვინც არასრულწლოვან ბავშვებს სკოლებში უვარდებოდნენ და აქციაზე მიათრევდნენ.

ეს ის ხალხია, ვინც ბავშვების ტრაგიკულ გარდაცვალებებს სათავისოდ, უბინძურესად იყენებენ.

ეს ის ხალხია, ვინც პატრიარქსა და სამღვდელოებას შუბით და მახვილით ებრძვის.

ეს ის ხალხია, ვინც ქვეყნის მთავარ გამზირს ლეწავდა.

ეს ის ხალხია, ვინც საკუთარი ქვეყნის გერბი და დროშა დაწვა.

ეს ის ხალხია, ვინც მაცხოვრის გამოსახულებიანი სასახლე (კუბო) რიტუალურად დაწვეს.

ეს ის ხალხია, ვინც ცოცხალი ადამიანების ფიტულებს ნემსებს არჭობს და რიტუალურად წვავს.

ეს ის ხალხია, ვინც 1 500 000 ქართველს დედ"""" ტ""""კს აგინებს.

ეს ის ხალხია, ვინც სამშობლოს წუთში სამოცჯერ ყიდის „ეუროპეული“ ვითომ ბენეფიტების გამო.

ეს ის ხალხია, ვინც განსხვავებული პოლიტიკური პოზიციის გამო ადამიანებს, განურჩევლად სქესისა უწერენ „დავ“ჯ“ვი დედაშენის საფლავს.

მაშ, რატომ არ ვარ სოლიდარული?

**Nugzar Popkhadze**
არ გედავები... უმეტესად, აბსოლუტურ სიმართლეს მწერ... მაგრამ, ჩვენ, ჟურნალისტებს მეტი მოგვეთხოვება... იმაშიც, რაც ხდება, ჩვენი „დამსახურება“ დიდია... ასევე, დაპირისპირების განეიტრალებაშიც ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ.

ამ გულანთებულ ახალგაზრდობასაც გვერდში უნდა დავუდგეთ. მათ გულწრფელობას არ უნდა ვუთმობდეთ ანგარიშიან ბედოვლათებს. ხელისუფლების კრიტიკაც არ უნდა დავუთმოთ კოლეგა-ზონდერებს. არ უნდა მოვერიდოთ გაზულუქებულ მაღალჩინოსანთა მხილებას... ოღონდ, პროფესიული ნორმების, სტანდარტის, ეთიკის უმკაცრესი და უზუსტესი დაცვით.

რასაც ახლა ვუცქერ, ასე მგონია, პროფესიის ანა-ბანაზე მწყრალად არიან ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები. ყველა არა, რა თქმა უნდა, მაგრამ არცთუ ცოტა... ჟურნალისტი გახდა მხარე, პროპაგანდისტი, ზოგჯერ, პროკურორი და მოსამართლეც... და არა შუამავალი აუდიტორიასა და რესპონდენტს შორის. მოსმენის მაგივრად თავად უპასუხებენ საკუთარ შეკითხვას. თითქმის ყველა დასმულ კითხვაში უკვე ძევს პასუხი და იმასვე ითხოვენ რესპონდენტისგან. ტოკ-შოუს წამყვანებზე აღარაფერს ვიტყვი.

ერთი სიტყვით, დღევანდელმა ჟურნალისტიკამ გააცოცხლა საბჭოთა პროპაგანდის კლასიკური მეთოდები, რაც ქართულმა ტელერადიომ და წამყვანმა გაზეთებმა, 70-ინი წლების ბოლოს, „დაივიწყეს“.

ცალმხრივად რომ არ გამომივიდეს, ხაზგასმით ვამბობ: ეს ეხება ორივე(!!!) მხარეს – ხელისუფლების და ოპოზიციის მხარდამჭერ მედიას.

და, საერთოდ, ლიზი, დღევანდელ ვითარებაში ყველა ვართ დამნაშავენი. რა თქმა უნდა, უწინარესად ოლიმპზე მსხდომნი და ისინი, ვინც მისკენ მიისწრაფვის, ყველა, ვისაც ეადვილება არა მარტო სამართლებლივი, არამედ ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფა.

**George Nishnianidze**
ნაციონალები გამოსაჩეკ კვერცხებს არც ისროდნენ საჯარო ბიბლიოთეკასთან. გაიხსენეთ, წიწილები ცვივოდა

**Gocha Popxadze**
ღმერთმა დაგვიფაროს იმის გამეორება, რაც იყო, იქნებ როგორმე დამთავრდეს ეს განხეთქილება

**Mancho Giorgobiani**
მამიკო, გეთანხმები (((
კატასტროფა გვჭირს(((

**Vasiko Chichinadze**
მართალი ბრძანდებით ბატ.ნუგზარ. ზოგი გწერთ, დრო შეიცვალაო.დიახ, გეთანხმებით, დრო მართლაც შეიცვალა, მაგრამ ქრისტიანობა, ღირსება, ადამიანობა, კაცთმოყვარეობა, ზნეობა ოდითგან მოგვსდგამდა და თუ ესეც შეიცვალა, მაშინ ჩვენ აღარაფრის ღირსები აღარ ვართ. ჩვენზე დიდი ქვეყნები წაიშალა და ჩვენც ეს ბედი გველის, თუ ეს ზემოთ ჩამოთვლილი დავკარგეთ.

**Vasiko Chichinadze**
დრო მართლაც შეიცვალა, მაგრამ ჟურნალისტიკის მთავარი სტანდარტი – ობიექტურობა(!) და ფაქტის სიზუსტე(!) არავის შეუცვლია... კი, მიწოდების ფორმები შეიცვალა, მაგრამ არავის დაუკანონებია სისულელე – ჟურნალისტი და მედიასტრუქტურა, მხარე(!) გახდესო, რომ ჟურნალისტი ექაჩებოდეს რესპონდენტს ან პოლიციელს და ლანძღავდეს მას და სთავაზობდეს მუშტს... არსად და არასდროს ჟურნალისტი არ მიუვარდება სახლში და არ აწიოკებს „რესპონდენტს“... არავინ არ „სპეკულირებს“ დაღუპული ადამიანის, მით უმეტეს ბავშვის ფოტოვიდეოკადრებით, არც პანაშვიდზე ჭირისუფლის, მით უმეტეს, დედის მოთქმით...

კი, დრო მართლა შეიცვალა, მაგრამ ბოლო 70 წლის მანძილზე, არ გამიგია, ჟურნალისტი ბავშვს, არასრულწლოვან მოზარდს ამუნათებდეს, გრცხვენოდეს შენი მშობლებისო, აუჯანყდი მათო...

კი, დრო შეიცვალა, მაგრამ განათლება, ზრდილობა, კეთილშობილება, ასაკით უფროსების პატივისცემა, ურთიერთობის კულტურა მუდმივი კატეგორიების, როგორც დღე, ღამე, მზე, მთვარე, დედაშვილობა, წინაპრების პატივისცემა და, „როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა“...

რაც დავაკელი, შენ დაამატე! უფლება გენეტიკურად მოპოვებული გაქვს.

**Nugzar Popkhadze** ზუსტად ეგ დავწერე ბატ.ნუგზარ, ნელ-ნელა ვკარგავთ იმ ყველაფერს რითიც ვამაყობდით და თუ ასე გაგრძელდა, სამშობლოს დაკარგვაც არ იქნება შორს და არც სამშობლოს ენდომება ჩვენი ყოლა.

**Murman Kuridze**
ჩვენს თავსმოხვეულ „შინა ომში“ ყველა დავმარცხდებით! გამარჯვებულიც იქნება მხოლოდ ჩვენი მტერი! ...ჭკუით, ქართველებო! წინ ევროპისაკენ, ოღონდ ღირსეულად! ევროპა არის შეგნება და არა ქვების სროლა.... ჩვენ, საქართველო, ვართ ევროპა, ევროპის ცივილიზაციის სათავე!

**Jemal Varshalomidze**
ბატონო ნუგზარ, ჭეშმარიტებას ბრძანებთ...

**Nikoloz Abashidze**
მიმდინარეობს მორიგი ფრენბურთი!! ხან ერთი მხარე უწევს „სატოპკეს“, ხან მეორე და უაზროდ ურტყამენ!! არც ერთს არ ახსოვს, რომ აქ აი, ამის უკან, **ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა !!**

**თამაზ ჭეიშვილი**
კარგია „სამშობლოს ღალატის“-ს მუხლი რომ აღადგინეს! დროულია! აქედან გამომდინარე სკაბრეზული გამონათქვამების აუცილებლობაც მოიხსნება და საზოგადოებაც გაკეთილშობილდება! დარწმუნებული ვარ, ნახალოვკასა და ავლაბარშიც კი ბირჟაზე დგომას მოეშვებიან და წიგნების კითხვას მიუბრუნდებიან „კარგი და ძველი“ ბიჭები...

**ჟურნალისტიკა გადაქცეულია „ზონდერისტიკად“! განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან გამომძიებელი ჟურნალისტი ქალბატონები, რომელთა გამომწვევი მოქმედება ცდება ადამიანური ურთიერთობის ფარგლებს და იწვევს საპასუხო ადეკვატურ რეაქციას. ყოველივე ეს აკნინებს იმ აშკარად სასარგებლო საქმეს, რასაც ისინი აკეთებენ ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურაში მოკალათებული კორუმპირებული არამზადების მხილებისთვის.**

საქართველოს რესპუბლიკა

# ღვაწლმოსილი მეცნიერი ვლადიმერ (ვოვა) ცანავა




**ცნობილი მეცნიერის**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ბატონი ვალერიან (ვოვა) ცანავას წვლილი მეტად მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ქართული მეცნიერების და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ვალერიან ცანავა დაიბადა 1935 წლის 25 თებერვალს ქ. სოხუმში. 1953 წელს დაამთავრა სოხუმის №1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1958 წელს დაამთავრა აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ გაიგზავნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული). 1961-1964 წლებში ვ. ცანავამ გაიარა ასპირანტურაში სწავლის სრული კურსი სასუქებისა და ინსექტოფუნგიციდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოლგოპრუდის საცდელ სადგურში პროფესორ ფ. ტურჩინის ხელმძღვანელობით. 1966 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და იმავე წელს აგროქიმიის განყოფილებაში აირჩიეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1972-1988 წლებში ვ. ცანავა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1988 წელს მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ჩაის მცენარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები“. 1988-1995 წლებში ვ. ცანავა ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე ამავე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი. 2006 წლიდან იგი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვენელია, პარალელურად 2006-2010 წლებში – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ვ. ცანავა 1992 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტია, ხოლო 1995 წლიდან – აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

ვ. ცანავას მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

**– აზოტის მეტაბოლიზმის პროცესის შესწავლა ჩაის მცენარესა და ციტრუსოვან კულტურებში სტაბილური იზოტოპი 15N გამოყენებით;**

**– აზოტოვანი სასუქების გავლენა სუბტროპიკული ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლებზე და ბიოქიმიურ აქტივობაზე;**

**– აზოტის ბალანსის შესწავლა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოვლა-მოყვანის აგროცენოზში.**

ვ. ცანავას მიერ ჩატარებულ კვლევებში ფართოდ არის გამოყენებული ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონალური ცდები როგორც საბაზისო კვლევის ობიექტი წითელმიწა ნიადაგებში აზოტის ფრაქციული შესწავლისათვის. ამ კვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულია აზოტის ფონდის ცვლილებები წითელმიწებში აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, ასევე სასუქების გავლენა პლანტაციების პროდუქტიულობასა და მზა ჩაის ხარისხზე. დადგენილია, რომ წითელმიწებისა და სუბტროპოკული გაეწერებული ნიადაგების პირობებში ჩაის პლანტაციებიდან მაქსიმალური მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითად პირობას ფოსფორიანი სასუქების გამოყენება წარმოადგენს, მათი ფორმების, ვადებისა და პერიოდულობის გათვალისწინებით. დადგენილია აგრეთვე კალიუმიანი სასუქების გამოყენების ეფექტიანობა აზოტით და ფოსფორით ხანგრძლივად განოყიერებულ ასაკოვან პლანტაციაში. მნიშვნელოვანია ვ. ცანავას მონაცემები ჩაის მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ცილოვანი და თავისუფალი ამინომჟავების აზოტის ცვლილების დინამიკის შესახებ, აზოტით უზრუნველყოფისა და დოზებისაგან დამოკიდებულებით. შესწავლილია აგრეთვე აზოტის გაზრდილი დოზების (400-500 კგ/ჰა) უარყოფითი გავლენა თავისუფალი ამინომჟავების, განსაკუთრებით კი შეუცვლელი ამინომჟავების შემცველობაზე და მზა ჩაის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. მრავალწლიანი და მრავალმხვრივი კვლევების შედეგები ასახულია ჩაისა და ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანის პრაქტიკულ რეკომენდაციებსა და აგროწესებში, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმების შედარებითი შეფასება, ნიადაგში მათი შესატანი დოზები და ფორმები.

**საქართვლოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ცანავა 215 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის, 3 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს, 1 პრაქტიკული სახელმძღვანელოს, 6 გამოგონების და პატენტის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები: „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები“ (1985 წ.) და თანაავტორობით (მ. დარასელია, ი. ვორონცოვი, ვ. გვასალია) გამოცემული „საბჭოთა კავშირის მეჩაიეობა“ (1988 წ).**

მონოგრაფიაში „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები“ თავმოყრილია მრავალწლიანი კვლევების შედეგები ჩაის პლანტაციების ნიადაგების აზოტის ფონდის შესახებ. სტაბილური აზოტის 15€ მეთოდის გამოყენებით დეტალურად არის შესწავლილი შეტანილი აზოტის ბალანსის სტრუქტურა და დადგენილია სასუქის აზოტის გავლენა ნიადაგის და მოძრავ აზოტზე, ასევე ჩაის ბუჩქის ცალკეული ნაწილების საერთო აზოტში მინერალური სასუქების ხვედრითი წილი. ვალერიან ცანავას მიერ დასაბუთებულია მცენარის აზოტით კვების პრობლემის თითქმის ყველა ასპექტი საქართველოს ჩაის პლანტაციების მაგალითზე. კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების გავლენა ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე, ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებზე, ნიადაგური აზოტის ფრაქციულ შედგენილობაზე და აზოტის გარდაქმნაზე წითელმიწა ნიადაგებში ჩაის კულტურის ქვეშ და სხვ. მან ცალკე კვლევები მიუძღვნა აზოტის შეთვისებასა და გარდაქმნას ჩაის მცენარეში, ასევე აზოტოვანი სასუქების მოქმედებას ჩაის ბიოქიმიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, აზოტოვანი ნივთიერებების შემცველობის დინამიკაზე ჩაის მცენარეში. მონოგრაფიაში გამახვილებულია ყურადღება ჩაის პლანტაციებში აზოტის ბალანსზე და მცენარის მიერ სასუქების აზოტის გამოყენებაზე, კერძოდ, აზოტის ჩართვაზე ნიადაგის აზოტის სხვადასხვა ფრაქციაში და მის გამორეცხვაზე აზოტოვანი სასუქების ფორმებთან დამოკიდებულებაში.

დიდია ვალერიან ცანავას წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია ორი ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ამაგდარი მეცნიერი წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესწავლისა და განოყიერების დიფერენცირებული სისტემის შემუშავებისათვის. მნიშვნელოვანია ბოლო წლებში კოლეგებთან ერთად შესრულებული სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ ახალი სახის კომპლექსური სასუქების გამოყენების ეეფექტიანობის შესწავლისა და კვლევის შედეგების საცდელი დანერგვის მიმართულებით.

**ვალერიან ცანავას კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. იგი არაერთგზის იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებში – ვიეტნამში, ლაოსში, კუბაში, ინდოეთში და ჩინეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერული მიღწევების გაზიარების მიზნით.**

ვალერიან ცანავა არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის და სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს წევრი. მისი მონაწილეობით შემუშავებულია არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო პროგრამები და პროექტები.

გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის ვალერიან ცანავა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენებით. ბატონი ვალერიანი გახლავთ ოზურგეთის საპატიო მოქალაქე.

**ბატონო ვალერიან,**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მამასა და ბაბუას დაბადების 90 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხნეობას, სიხარულსა და მრავალ წარმატებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# გადამზადების პროექტი შალვა ამონაშვილის აკადემიასთან ერთად



**რუსთავის** ბაგა-ბაღებში ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული ჰუმანური პედაგოგიკის მეთოდოლოგია დაინერგა.

„პროექტი, რუსთავის მერიამ, ნინო ლაცაბიძის ინიციატივით, შალვა ამონაშვილის აკადემიასთან თანამშრომლობით განახორციელა. პროგრამის ფარგლებში, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათს ატარებდა, ჰუმანური პედაგოგიკის კურსი, ბაგა-ბაღების 700-მდე თანამშრომელმა, ნოვატორი მეცნიერის – შალვა ამონაშვილისგან მოისმინა.

პროექტის საგანმანათლებლო ეტაპის შემაჯამებელი ღონისძიება, რუსთავის სპორტის სასახლეში გაიმართა, სადაც უკვე დასრულებული სასწავლო პროგრამის შესახებ პრეზენტაცია, პროფესორმა შალვა ამონაშვილმა ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა მშობლებსა და პედაგოგებს წარუდგინა.

–რუსთავის ბაგა-ბაღების პედაგოგებმა და აღმზრდელებმა ჰუმანურ პედაგოგიკაში ერთწლიანი გადამზადების კურსი გაიარეს. ძალიან დიდი სამუშაო გავწიეთ. მე გაოცებული ვარ ქალაქის ხელმძღვანელობის შემართებით, რომელმაც მოინდომა და ტრენინგკურსში რუსთავის ბაგა-ბაღების ყველა აღმზრდელ-პედაგოგი ჩართო. სასწავლო პროცესი დასრულდა, მაგრამ საქმე არ დასრულებულა, გაწეული სამუშაოს შედეგს, ჩვენ რამდენიმე წელში ვნახავთ. ჩვენი დიდი სურვილია, რომ რუსთავში, ყოველ წელს სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ჩატარდეს, რომელშიც ბაგა-ბაღების პედაგოგები მიიღებენ მონაწილეობას, – განაცხადა პროფესორმა შალვა ამონაშვილმა.

პრეზენტაციას რუსთავის მერის პირველი მოადგილე კახა გურული, რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ეკატერინე ხუციშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების” წევრები და შალვა ამონაშვილის აკადემიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

,, საქართველოში ერთადერთმა მუნიციპალიტეტმა – რუსთავმა, შალვა ამონაშვილის აკადემიასთან ერთად, უნიკალური პროექტის განხორციელება შევძელით. პროექტი მოიცავდა სააღმზრდელო დაწესებულებებში ჰუმანური პედაგოგიკის მეთოდოლოგიის დანერგვას. ამ მიმართულებით ბაგა-ბაღების 700-მდე თანამშრომელი გადამზადდა, მათ სპეციალური ტრენინგ-კურსი გაიარეს. პროექტი თითქმის წელიწად ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა და დღეს გვქონდა დასკვნითი ღონისძიება”, – განაცხადა რუსთავის მერის პირველმა მოადგილემ კახა გურულმა.

მიმდინარე წელს რუსთავში 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და ორის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. უსაფრთხო და თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალელურად, კი განხორციელდა პროექტი, რომელიც სააღმზრდელო პროცესს კიდევ უფრო კომფორტულს გახდის როგორც ბავშვებისთვის, ისე პედაგოგებისთვის,”- ნათქვამია ინფორმაციაში.

# ფარული დასი და ვიკიპედია

**ინფორმირებული მკითხველი კითხვას დასვამს, რაღა დროს ვიკიპედიაა, როცა ხელოვნური ინტელექტი უკვე სტატიებსაც წერს, მოსწავლეებს კონსპექტებს უდგენს და მეტიც, ვიდეოკონტენტს ქმნის ისე, რომ არავის არაფერს ეკითხება. დავეთანხმებოდით, მაგრამ ეს ხელოვნური ინტელექტიც ხომ ხშირად ვიკიპედიაში იყურება და მას, როგორც უტყუარ წყაროს ეყრდნობა!**

ახლა თუ არ დაიზარებთ და ქართულ ვიკიპედიაში შეიხედავთ, აღმოაჩენთ, რომ საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი კვლავაც სალომე ზურაბიშვილია, მერე რა, თუ ამ პოსტზე უკვე ორი თვეა, მიხეილ ყაველაშვილია არჩეული!

ვიკიპედიის შეცდომები საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის უკვე ყბადაღებული თემაა.

არადა, ამ ღია ინტერნეტ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული ათი სტატიიდან ექვსი ფაქტობრივ შეცდომებს შეიცავს. ამ დასკვნამდე კვარტალური **Public Relations Journal**-ის მკვლევარები მივიდნენ, იუწყება **The Daily Mail.**

**კვლევაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოებასთან ურთიერთობის 1300-ზე მეტმა პროფესიონალმა. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ჭიკიპედია-ზე გაგზავნილი შეცდომების შესახებ მოხსენებების დაახლოებით მეოთხედი უპასუხოდ დარჩა.**

**გარდა ამისა, ონლაინ ენციკლოპედიის ადმინისტრაციამ ზოგიერთ კომენტარს მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ უპასუხა, ხოლო ოფიციალური ინფორმაციით, მოთხოვნის დამუშავებას ორიდან ხუთ დღემდე უნდა დასჭირდეს.**

კვლევის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ვიკიპედიის მასალები ყველგან გამოიყენება – სკოლის მოსწავლეებიდან დაწყებული, კორპორატიული პრეზენტაციების შემდგენელებამდე. უფრო მეტიც, მაშინაც კი, თუ კონკრეტული კომპანიის თანამშრომელმა სტატიაში შეცდომა აღმოაჩინა, მას არ აქვს მისი გამოსწორების უფლება - მასალის ავტორი, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შეიძლება იყოს მხოლოდ პირი, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ ბიზნესთან.

**შეცდომები რომ წლიდან წლამდე გაუსწორებელი რჩება, ცნობილია. ამგვარ შემთხვევებში ბედი მხოლოდ ამერიკელ სენატორებს სწყალობთ –მათ შესახებ გავრცელებული დეზინფორმაცია ოპერატიულად სწორდება ხოლმე, თუმცა საქართველოს შემთხვევაში საქმე აშკარად სხვაგვარად გვაქვს.**

სხვათა შორის, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ინგლისურენოვან ვიკიპედიაში ქართულთან შედარებით ინამუსეს – მოქმედი პრეზიდენტის გრაფაში სალომე ზურაბიშვილიც არის და მიხეილ ყაველაშვილიც, ოღონდ მინაწერით, რომ ამ ორს შორის დავა მიმდინარეობს! როგორც ერთი გამომძიებელი ჟურნალისტი იკითხავდა, სად დავობენ, რას დავობენ, რატომ დავობენ, არავინ იცის, თვით ყოვლისმცოდნე ვიკიპედიამაც კი, მაგრამ აბა, სცადეთ და ვიკიპედიაში თქვენ თავად შეიყვანეთ ვინმე „ერთადერთ ლეგიტიმურ“ პრეზიდენტად – აქედან არაფერი გამოვა.

ახლა რუსულენოვან ვიკიპედიაშიც შევიხედოთ – იქაც მოქმედი პრეზიდენტის რანგში სალომე ზურაბიშვილი იწონებს თავს!


Президент Грузии
груз. საქართველოს პრეზიდენტი
Штандарт президента Грузии
Должность занимает
Михаил Кавелашвили (оспаривается)
с 29 декабря 2024 года
Должность

| | |
|---|---|
| Форма обращения | Господин (госпожа) президент; Ваше превосходительство |
| Резиденция | Дворец Орбелиани, Тбилиси «Президентский Дворец» в Авлабари (ранее) |

**სხვათა შორის, თავად ვიკიპედიას განმარტებით, „დეზინფორმაცია არის მიზანმიმართულად ყალბი ან დამახინჯებული ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მტერს, მსხვერპლს ან ბიზნეს პარტნიორს უფრო ეფექტური საბრძოლო მოქმედებების, თანამშრომლობის, ინფორმაციის გაჟონვისა და მისი გაჟონვის მიმართულების შესამოწმებლად, შავი ბაზრის პოტენციური კლიენტების იდენტიფიცირებისთვის". ერთობ ტევადი დეფინიციაა,**


President of Georgia
საქართველოს პრეზიდენტი
Presidential standard
Incumbent
Disputed between Salome Zourabichvili and Mikheil Kavelashvili[a]
since 29 December 2024
Office of the President of Georgia
Head of State of Georgia

| | |
|---|---|
| Type | Head of state<br>Commander-in-chief |
| Residence | Orbeliani Palace (since Nov 2018[1]) |

**რომელიც განსჯისკენ გიბიძგებს. სალომე ზურაბიშვილის მოქმედ პრეზიდენტად მოხსენიება არც მექანიკური შეცდომაა და არც რედაქტირების ხინჯი - იგი აშკარად მიკერძოებულ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და, როგორც თავად ვიკიპედია გვამცნობს, „მიეწოდება მტერს, მსხვერპლს ან ბიზნეს პარტნიორს“...**

„ასავალ-დასავალის“ გამომცემელმა ლაშა ნადარეიშვილმა ფართოდ გავრცელებულ ტერმინს **Deep state** არაჩვეულებრივი ქართული შესატყვისი მოუძებნა – ფარული დასი. ეს ის ფარული ძალაა, რომელიც არ ჩანს, მაგრამ მთლიანად აკონტროლებს ყველა რესურსს, მათ შორის, ვიკიპედიასაც. ფარული დასი კი მოქმედ პრეზიდენტად კვლავაც სალომე ზურაბიშვილს მიიჩნევს.

**ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ვიკიპედია არ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის სრულიად ნეიტრალურ და გადამოწმებულ წყაროდ, ამიტომ, სხვადასხვა დისკუსიებში ვიკიპედიაზე მითითება ცუდ მანერად ითვლება.**

დაბოლოს, ჩვენი ახალგაზრდა ჟურნალისტები, რომლებიც საკუთარი მასალების მოსამზადებლად ვიკიპედიას ეყრდნობიან, მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ამ არასანდო და ანგაჟირებულ წყაროს, რათა ფაქტობრივი და შინაარსობრივი შეცდომებისგან დაიზღვიონ


საქართველოს პრეზიდენტი
პრეზიდენტის შტანდარტი
მოქმედი:
სალომე ზურაბიშვილი
2018 წლის 16 დეკემბრიდან

| | |
|---|---|
| მიმართვის სტილი | მისი აღმატებულება |
| რეზიდენცია | ათონელის რეზიდენცია |
| დამნიშვნელი | ხალხის პირდაპირი ხმა (1991-დან 2018 წლამდე)<br>ამომრჩეველთა კოლეგია (2024 წლის შემდეგ) |

თავი. კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ დავიმახსოვრებთ, რომ ვიკიპედია ბიბლია არ არის და მას ხშირად არცთუ გათვითცნობიერებული, ან სულაც ბარიკადებზე მდგომი ადამიანები ავსებენ.

## P.S.

**სხვადასხვა დროს ვიკიპედიაში ისეთი კურიოზებიც მოხვედრილა, როგორც ბილ გეიტსისთვის სატანის რქების მიხატვა, ცოცხლების მკვდრად გამოცხადება, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერისთვის იმის დაბრალება, რომ ბავშვობაში ოთახში ჰიტლერის სურათი ჰქონდა გამოკრული, თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც კუბის ლიდერის, ფიდელ კასტროსთვის იმის მიწერა, რომ იგი ტრანსსექსუალია. ამ უკანასკნელის გამოძიებამ ფარული დასის გრძელი ყურები გამოაჩინა: გაირკვა, რომ ფიდელ კასტროს შესახებ ფეიკი, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდა. საინტერესოა, გაარკვევს თუ არა ვინმე, ვისი თვითშემოქმედებაა სალომე ზურაბიშვილის საქართველოს მოქმედ პრეზიდენტად გამოცხადება.**

## P.P.S.

**ვიდრე სტატიას დავბეჭდავდით, როგორც წესი და რიგია, ყველა ფაქტი კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ და აღმოვაჩინეთ, რომ რუსულენოვანმა ვიკიპედიამ შეცდომა გაასწორა: ამ დროისთვის საქართველოს მოქმედ პრეზიდენტად მიხეილ ყაველაშვილია მითითებული, თუმცა ვიკიპედიას ქართულ და ინგლისურ ვერსიებში კვლავაც სალომე ზურაბიშვილი ფიგურირებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური საიტი არ იძებნება. ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ საიტზე არსებული ყველა ინფორმაცია მისი წასვლისთანავე წაიშალა, მაგრამ დღესაც ანალოგიური ვითარებაა და ვიკიპედიაზე მოცემული ბმული არ აქტიურდება!**

# ქართული პოეზიის დედოფლის დღე ეროვნულ აკადემიაში



**როგორც** ვიუწყებოდით, 14 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ქართული პოეზიის დედოფლის, თანამედროვე ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიისა და ფოლკლორის სწორუპოვარი მკვლევრის **ანა კალანდაძის** დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება გაიმართა.

ეროვნული აკადემიის დიდ დარბაზში თითქმის ყველა თაობის წარმომადგენელი შეიკრიბა – თბილისის მე-20 საჯარო სკოლის მოსწავლეებით დაწყებული, 80 წელს გადაცილებული, ღვაწლმოსილი აკადემიკოსებით დამთავრებული.

ასეთი მასშტაბით დიდი პოეტი-ქალის იუბილეს აღნიშვნა იმანაც განაპირობა, რომ შესანიშნავი მკვლევარი და ქართული სიტყვის მესაიდუმლე ანა კალანდაძე ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, პოეტი-აკადემიკოსი გახლდათ.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა**. მან ყურადღება გაამახვილა არა ოდენ ანას პოეტური ენის განსაცვიფრებელ ლექსიკაზე, არამედ როგორც საქართველოს ისტორიის და რელიგიის მცოდნე ბრწყინვალე მკვლევარზე, ორიგინალურ ისტორიულ პოეზიაზე.

ანას პოეტური მეტყველება ხომ ღრმად ეროვნული და პატრიოტულია, მისი შთაგონების წყარო ხომ ქართლის ცხოვრება, ბიბლია, რუსთაველი და გურამიშვილია. ბატონმა როინ მეტრეველმა თავისი შეხედულებების დასადასტურებლად ანას თითქმის ათი ლექსი მოიხმო ზეპირად და... იმ დღეს დარბაზში შეკრებილები პირველად დარწმუნდნენ, რომ აკადემიის პრეზიდენტი ანას პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული ისტორიკოსი ყოფილა...

საერთოდ, იმ დღეს გამჟღავნდა, რომ ანა კალანდაძის პოეზია ბევრმა (ძალიან ბევრმა!) იცის ზეპირად და ეს, უბრალოდ, ჩვეულებრივი ქართული ფენომენია!..

მწერალმა და ლიტერატორმა, შესანიშნავმა პროზაიკოსმა, წლის საუკეთესო რომანისა და ანას პრემიის შარშანდელმა ლაურეატმა, პროფესორმა **მაკა ჯოხაძემ** ეროვნულ აკადემიაში შეკრებილთ წარმოუდგინა მოხსენება **„იდუმალება ანას პოეზიაში“**, რომელმაც დარბაზის საყოველთაო მოწონება, გულწრფელი ტაში და აპლოდისმენტები დაიმსახურა!

**ჩვენი გაზეთის მკითხველს დღეს აქვს იმის ბედნიერება, რომ ქართველ შემოქმედ ქალთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული კრიტიკოს-ანალიტიკოსის მაკა ჯოხაძის ნააზრევს აქვე წაიკითხოს!**

მაკა ჯოხაძის სიტყვას არანაკლებ შთამბეჭდავი გამოსვლები მოჰყვა ცნობილი ენათმეცნიერის, აკადემიკოს **ავთანდილ არაბულისა**, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის **მაყვალა გონაშვილისა**, ანა კალანდაძის შემოქმედებაზე ფანატიკურად შეყვარებული ჟურნალისტის და მკვლევრის **იოსებ ჭუმბურიძისა** (მან უკვე მოასწრო და სამი შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა ქართული პოეზიის დედოფალს), ცნობილი მწერლისა და ეროვნული მოძრაობის ნამდვილი მემატიანის **ჯემალ დავლიანიძისა**, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის, ცნობილი პოეტის **დავით შემოქმედელისა**, გამორჩეული ხედვის და ანალიზის ნიჭით დაჯილდოებული მწერლისა და კრიტიკოსის **საბა მეტრეველისა**...

შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მისმა მაღალმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა.

უფროსი თაობის წარმომადგენლები გაახარეს თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც ყოველგვარი წაბორძიკების გარეშე წაიკითხეს ანას ლექსები.

შეხვედრის გვირგვინი იყო **იოსებ ჭუმბურიძის** იდეით, **ბადრი ვადაჭკორიას** მართლაც გამორჩეული ფოტოხელოვნებით, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, ქეთი კალანდაძის რედაქტორობით, გიორგი ჩიქვინიძის დიზაინით დამშვენებული საიუბილეო წიგნი-ალბომი „ანა – 100“ და ისტორიული ხელნაწერი „რვეული“ გენიოსი ბავშვის ანა კალანდაძის მიერ 1946 წლის 25 მაისს საქართველოს მწერალთა კავშირის სამსჯავროზე წარდგენილი...

ამ რვეულში ჩატეულმა ხელნაწერმა ლექსებმა მაშინ მთელი საქართველო „გადარია“ და დიდი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის დაბადება გვამცნო!

„ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გიამბობს ჭადარი“... ამღერდა ომგამოვლილი, ჯერ ისევ დაზაფრული ხალხი!

* * *

**...საქართველო ბინძურ გეოპოლიტიკურ, ევროპა-ამერიკულ, რუსულ-უკრაინულ, ქართულ-ნაცისტურ ომშია დღესაც.**

**ანას პოეზია და იმედით სავსე თვალადური ლექსი საქართველოს გადარჩენის რწმენას გვინერგავს კვლავაც...**

**და ეს რწმენა „თქვენ ხუმრობა ნუ გეგონებათ!**

**სპარტაკ ქობულია**

# მაკა ჯოხაძე: ანას იდუმალება

## ჩვენი პუბლიკაცია



**ანა კალანდაძეს** თავის დღიურში ასეთი რამ ჩაუწერია: „სიონის ტაძრის ქორეპისკოპოსმა, მეუფე კონსტანტინე მელიქიძემ ერთხელ საუბარში მითხრა, ტაძრებზე ბევრს სწერთო... დიახ, – მივუგე – უნივერსიტეტში ვსწავლობდი...

– არა! – ხმას აუწია მან, – ეს თქვენში უფრო ადრე იყოო!..

„ო, არი რაღაც უსაზომოდ დამაფიქრელი...“

ამ „დამაფიქრელზე“ და „უფრო ადრეზე“ არა მხოლოდ სასულიერო იერარქს, არამედ საერო პირს – გერონტი ქიქოძესაც უმალვე შეუნიშნავს: „ანას მეტად ორიგინალური რელიგიური მსოფლშეგრძნება აქვსო“. და თუ ორივე მათგანი, ქორეპისკოპოსიც და ქართული ლიტერატურის მაესტროც მოხიბლული და გახარებული იყო ამ ფაქტით, ოფიციალური კრიტიკა, ანუ ლიტერატურული ნომენკლატურა, აღშფოთებას გამოთქვამდა: ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს შესახებ ამაზე უფრო აღგზნებული ჰიმნები X საუკუნის ჰიმნოგრაფებსაც არ შეუქმნიათო!

საოცარია ეპოქის სული, მუდამ ცვალებადი და წარმავალი. საოცარია ღვთის განგებაც. გაკიცხვის მოსურნე სწორედ ამ წარმავალ, ცვალებად სულებსაც რომ დააცდენინებს ზოგჯერ ჭეშმარიტებას.

ანას პოეზია – ესაა მიღება და აღიარება სამყაროს შექმნის იდუმალებისა, მისი ამოუხსნელობისა, ამ ამოუხსნელობის მარადიული ხიბლისა. ამიტომაა ანას პოეზიაში ასეთი უცნაური სიმშვიდე და გარინდება. თუმც სიმშვიდე – მისი სიმდიდრე, როგორც თავადვე ამბობს ჩანაწერებში, არც ისე ხშირად ჩამოდგება სულში. „სიმშვიდე ქვეყანაში და აქედან სიმშვიდე ჩემში! – აი ჩემი სიმდიდრე“. ამით ყველაფერია ნათქვამი.

ჭკვიანი ინტუიცია ჰქონდა... მაშინ, როდესაც აკაკის მაცდურმა სისადავემ არა ერთი და ორი პოეტი აქცია ჩვენში ეპიგონად და „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოს“ მერე დაიწყო ფერთა გამუდმებული ძებნა მშობლიური ცისა და მიწის შესამკობად, ანამ ამ ფერწერის მიღმა თვალი პატიოსანი დალანდა და იგრძნო – ეს აკაკის გაჭედილი ხატი იყო სამარადჟამოდ, ეს მან შეამკო ძვირფასი თვლებით სათაყვანებელი სამშობლო.

ანამ ერთგვარი კატეგორიულობითაც კი თქვა უარი ფერებზე და მხოლოდ მისეული, აქამდე არავისგან შემჩნეული ცა დაგვანახა:

**„ცა, ვარსკვლავებით ივსება, ცა არცა**
**რისი სადარი“.**
**„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,**
**შენ ისე ღრმა ხარ...“**
**„ბრწყინავს ვარსკვლავი, ცას იმისი**
**გულისთქმა ესმის,**
**ცას უუშორესს, შეუცნობელს,**
**გრძნეულს და მისანს...“**

თავაღერილი იდგა მიწაზე ანა და ცას რომ უყურებდა, კი არ ოცნებობდა – ფიქრობდა. ადამიანები შეჩვეულნი ვართ და გვგონია, რომ ფიქრი მხოლოდ თავდახრილი შეიძლება. ანა კალანდაძემ თავაღერილი ფიქრი შემოიყვანა ქართულ პოეზიაში.

და, საერთოდ, ცა, როგორც ჯვრის ვერტიკალური სხივი, ყმაწვილქალობიდან მუდმივად ანათებს ანას შემოქმედებაში. ამ არაამქვეყნიური შუქითაა შებურული არა მხოლოდ საყდრული მყუდროებით აღსავსე მისი ლირიკა (ლექსები), არამედ თვით ადრეული სიყმაწვილის გარიჟრაჟზე შექმნილი შედევრები. ჯერ მარტო მაცხოვრის ხილვა რად ღირს უღმერთო ეპოქის საშიშ წიაღში, ასეთი მშვიდი ძლევამოსილებით რომ ჩნდება წალკოტში ჩაძინებული ქალწულის, წმინდა ნინოს წინაშე თავისი უტკბილესი ხმით: „ნუ გეშინინ!“ – მიუგებდა იესო“.

ცნობილი ფრანგი პოეტი და მოაზროვნე, პოლ კლოდელი, შენიშნავდა: მე-19 საუკუნეში, როცა დაიმსხვრა ძველი დოგმები, ფორმა-ჩარჩოები, ტრადიციები და ადამიანმა მოიპოვა აზრის თავისუფლება, მოსალოდნელი იყო, რომ თავისუფლებასთან ერთად ბუნებრივად იფეთქებდა **ს ი ხ ა რ უ ლ ი ს** განცდა. მაგრამ განა გამაოგნებელი არ არის, რომ მთელი მე-19 საუკუნის ფრანგულ პოეზიაში ამ განცდას ვერსად ნახავთ. კი, ვხვდებით ზოგჯერ სიამოვნებისა და კმაყოფილების შეგრძნებას, მაგრამ არა სიხარულს!

უსიხარულობა, ჩემი ღრმა რწმენით, არარელიგიურობიდან, უღმერთობიდან მოდის – წერს ევროპელი მოაზროვნე.

და მართლაც, ძვირფასო მეგობრებო, ალბათ დამეთანხმებით, რომ თვით გენიალურ პოეტებსაც კი ხშირად არ შეეძლოთ სიმშვიდისა და ჰარმონიის მოტანა ჩვენთვის, რადგან არ გააჩნდათ ღმერთის განცდა...

წლებთან ერთად ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა და არა მხოლოდ ფრანგული პოეზიისთვის... უაღრესად აქტუალური გახდა, ზოგადად, დღევანდელი მსოფლიოსათვის.

ოდესღაც ღირსებითა და სიხარულით სავსე საქართველოც თანამედროვე სამყაროს ნაწილია და ჩვენ ყველანი, ერთად ვაკვირდებით რწმენითა და სიყვარულით სავსე ბიბლიური ჭებიდან როგორ ჩუმად, ნელ-ნელა მიიპარებიან სიკეთის მაცოცხლებელი წყლები. ჩვენ ყველანი ამ მძიმე პროცესის მონაწილენი ვართ და ჩვენ ჩვენს

დასასრული მე-10 გვ.

# მაკა ჯოხაძე:
# ანას იდუმალება

მეცხრე გვერდიდან

სასიცოცხლო სივრცეში, ჩვენი პროფესიითა თუ სულისკვეთებით მის შეჩერებას ვცდილობთ...

საკუთარ სამშობლოში შეყვარებული ყველა იმ ღირსეული ადამიანის გასამხნევებლად, რომელსაც სწორედ ამ მცდელობის, ამ სიყვარულისა და ღირსების გამო სდევნიან და აბუჩად იგდებენ, ერთგვარ ნიმუშად გამოდგება ის, თუ როგორ ღირსეულად უმკლავდებოდა თავის დროზე ანა კალანდაძე მსგავს გამოწვევებს. თითქოს დღეს, ამ წუთებშია დიდი პოეტის ეს სტრიქონები დაწერილი:

**„როს მესხმის ლაფი... არაკაცთაგან**
**მიწად ვირთხმები,**
**როცა უსასოდ ჩამოყრილ ფრთებზე**
**გესლი ინთხმება,**
**კვლავ...**
**ძალით შენით**
**დავიფარვი და განვიკითხები“.**

**ანდა:**

**„უფალო, გული ბიწიერთაგან,**
**ურწმუნოთაგან...**
**ყოველდღე კვდება...!“**

**„თქვენ რომ შხამს ანთხევთ,**
**თქვენი წესია,**
**მაგრამ მე რატომ დაგიღოთ თავი?“**

**„მხოლოდ იმედის სხივთა რონინი –**
**გესლიან ღიმილს და ირონიას!**
**მხოლოდ ბნელეთის ამოხავილი**
**თქვენს უიმედოდ დამჭკნარ**
**ყვავილებს**
**ზღვას მიმონებულს აკრთობს**
**მთოვარე**
**მის მარგალიტთა აღმომთოვარი,**
**ქვიშა უბრალო... თქვენ რომ**
**გგონიათ!**
**ჩემს გულსა შიგან... სხივთა რონინი...**
**თქვენს მლიქვნელობას და ირონიას!“**

და ბოლოს, ჩვენთვის ასე ნაცნობ ე. წ. ინტელექტუალებზე საოცარი ლექსი აქვს ანას სათაურით – **„ილიამ ბრძანა“.**

**„თუ... კაცის სული**
**ყრუ და ბნელია,**
**გული ბოროტი**
**გონებას თრგუნავს,**
**საშიში არი**
**მის ნასწავლობა:**
**სამშობლოვ ჩემო,**
**მიიღებ უნასს**
**და დამანგრეველ**
**ვულკანის ძალას!!!**
**საშიშიაო,**
**ილიამ ბრძანა!“**

ანა, როგორც შემოქმედი, ფორმის ძიების თვალსაზრისითაც არასოდეს განმეორებულა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ იგი არ დამორჩილდა საკუთარი სტილის ინერციას და 70-იან წლებში რადიკალურად სხვა ტიპის (ხელწერის) პოეზია შექმნა, მთლიანად განსხვავებული იმისაგან, რამაც გამოჩენისთანავე მთელი საქართველოს გული დაიპყრო და უდიდესი პოპულარობა მოუტანა.

რაც შეეხება სულისკვეთებას, სამყაროსადმი დამოკიდებულებას, აქ იგი უცვლელი დარჩა. პოეტური წარმოსახვებით გამუდმებით უერთდებოდა და ერწყმოდა, მიილტვოდა და ითქვიფებოდა იდუმალებით მოცულ ბუნებაში, მთელი თავისი არსით, შთაგონებით, ენერგიით ენდობოდა ქარებს, ზღვებს, ოკეანეებს, ყვავილებს, ღრუბლებს, ნაკადულებს. ყველაზე ინტიმურსა და სანუკვარს, აღსარებასავით, მათ წინაშე ამხელდა. მხოლოდ უზენაესს, მხოლოდ დიდ წინაპართა აჩრდილებს თვლიდა ამის ღირსად. მხოლოდ მათთან, მათ გვერდით გრძნობდა თავს დაცულად, ლაღად, ბედნიერად.

ზოგიერთთათვის, როგორც ქალი, ანა ადრეულ ლირიკაში დამთავრდა, საკუთარი გულის ხვაშიადს ასეთი გასაოცარი ექსპრესიულობითა და მიმნდობლობით რომ ატანდა მაგნოლიისა თუ თუთის ხეებს, როცა ასეთი ბუნებრივი, ქალური სიხარულითა და უშუალობით ქმნიდა სიყვარულის საკუთარ ინტონაციებს.



ქართულ კრიტიკაში გამოთქმული ერთი უცნაური აზრი მახსენდება – ანას პოეზია საკვირველად დაცლილია ეროტიკულობისგანო...

ვინ იცის, იქნებ ამ „მატყუარა“ შთაბეჭდილების თავი და თავი ანას იდუმალებისადმი, საიდუმლოსადმი ლტოლვაშია. მისი „გასაიდუმლოებული“ ტრფიალი და წარმოსახვები სულაც არაა ეფემერული, უსხეულო და უმისამართო. უბრალოდ სხეულიცა და მისამართიც ისეა შებურული, ისეთი პოეტური ბურუსითაა მოცული, რომ ლექსი თავის ეროტიულ ესთეტიკას, უმაღლესი პროფესიონალიზმის წყალობით, უდახვეწილესად ასხივებს. ეს დაახლოებით იმ სიღრმისეული ხარისხის გამოსხივებაა, ოკეანის ფსკერზე დალექილი ნიჟარის გულებში მარგალიტები რომ ანათებენ. რაც უფრო ღრმადაა ჩაძირული, მით უფრო ნამდვილი და გამაოგნებელია დაფერვის ციმციმი.

ვფიქრობ, რომ ამ იდუმალი კარის ოდნავი შეხსნაა ანას სიტყვები: „ყვავილებს ჩემს პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისინი ჩემთვის არ არიან მხოლოდ ბოტანიკური ერთეულები, როგორც შეიძლება მავანს მოეჩვენოს. ისინი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავენ. მათ ჩემს შემოქმედებაში მეტი დატვირთვა აქვთ; მათ უკან ხშირად „ვიღაც“ დგას“.

**„ვით ფოთოლი შენი, მზეზე**
**მოციმციმე,**
**ქარებს აჰყოლია**
**და წასულა შენგან,**
**გაფრენილა შენგან,**
**მიწას დაჰკონვია,**
**ისე გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა**
**უტყვი გამგონეა...**
**არ ვახსოვარ, ალბათ, არ ვახსოვარ,**
**ალბათ,**
**ჩემო მაგნოლია!..“**

### ბროწეულები

**„მზაკვარი სხივი როგორ ქირქილებს**
**ბროწეულებზე**
**იმას ჰგონია, აქ განზრახ შეხვდნენ**
**ჩვენი გულები...**
**ჩქარა წავიდეთ, თორემ სიჩუმით**
**დაქანცულები**
**პირს რომ გახსნიან, ალბათ,**
**გაგვცემენ ბროწეულები...“**

ამღერებულ მაგნოლიებს, თუთებს და იასამნებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ფშაური ციკლი იკმარებდა, რომელიც ანას პოეზიაში სწორედაც რომ განსხეულებული სიყვარულითაა შთაგონებული. „არჯაკელი ხვიარა“ იქნება ეს, კლდის შროშანი, ველის ყაყაჩო თუ მთებშივე ჩაძირული „ლურჯთვალა“, სწორედაც რომ მისი სიყვარულის ყვავილოვანი ხორცშესხმაა, რომ აღარაფერი ვთქვათ გულისთქმებზე დაწერილ ანას უძლიერეს ლექსზე.

ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, 50 წლის იუბილე ტელევიზიით რომ მივულოცე. მერე ვახტანგ ჭელიძის თხოვნით ანას შემოქმედებაზე პირველი წერილიც დავწერე.

ყოველთვის თვალს გადევნებდი, მაგრამ გამოგიტყდები, შენდამი ინტერესი განსაკუთრებით „უმძიმესი ბედნიერების“ მერე გამიძლიერდაო, – მითხრა წლების მერე და საშინლად მესიამოვნა, რომ ჩემი ესეის სათაურიც კი ახსოვდა.

განგებამ იმითაც დამაჯილდოვა, რომ 40 წელზე მეტხანს მისი მეზობელიც ვიყავი. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, თითქმის ბავშვობიდან მომდევს ერთი უცნაური თვისება: ვინც ძალიან მიყვარდა და ვაიდეალებდი, მასთან სიახლოვეს ვეკრძალებოდი. არ ვიცი რატომ ხდებოდა ასე, იქნებ იმიტომ, რომ ქვეცნობიერად, ყოფით ურთიერთობებში მითების მსხვრევისა და განხიბვლის მეშინოდა.




ლექსი და ფოტო წიგნიდან „ანა - 100“

ანასთან ურთიერთობის, გავბედავ და ვიტყვი, გვიანი დამეგობრების სიხარულმა გამიმართლა. ამის უშუალო მოწმე ანას უსაყვარლესი რძალი, განსაცვიფრებელი ქალბატონი თინა ყანდარელია, რომელმაც ყველანაირი ყოფითი შრომა და საზრუნავი აარიდა დიდ პოეტს და ცხოვრება შეუმსუბუქა. ანას თხოვნით, რამდენიმე შეხვედრაზეც ვახლდი და ვიწრო წრეში გადახდილ მის დაბადების დღეებსაც დავსწრებივარ. საოცარი მასპინძლობა იცოდა. თაყვანისმცემლებისგან მორთმეული ტორტის გამო რამდენჯერ დაურეკავს (არაჩვეულებრივი მთარგმნელისა და ადამიანის თამარ მაღრაძისა და ჩემთვის) თუ გცალიათ, გადმოდით, საქმე მაქვსო.

ჩვენი შეხვედრები განსაკუთრებული ინტენსიობით 90-იანი წლებიდან წარიმართა და ამ ხსოვნის ფრაგმენტები დაიბეჭდა კიდეც ჩემი ჩანაწერების წიგნში „ჩაძირული დღესასწაული“. მოსაგონარი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება, განსაკუთრებით ორი შემთხვევით დამამახსოვრდა. ერთხელ, როცა ე. წ. „რეფორმატორებმა“ სასწავლო პროგრამიდან „ჰაგიოგრაფიის“ ამოღება გადაწყვიტეს, როგორი გაბრაზებული და შეშფოთებული მეუბნებოდა: „ცუდი ნიშანია ეს, ცუდი ნიშანიაო“ და მეორედ სიხარულით გაცისკროვნებული, აივნიდან რომ მეძახდა და მანიშნებდა. არ წავიდეთ, მოზეიმეებს არ შევუერთდეთო! ეს ის დროა, როცა ჩვენმა სახელოვანმა ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგეს და გარეთ გამოსული მთელი თბილისი (საქართველო) ზეიმობდა. ყველაზე დიდი სასწაული კი ის იყო, რომ აქამდე აივანზე მყოფი ანა არავის უნახავს... ასე ლაღად, ბუნებრივად გამოხატავდა დარდსა თუ სიხარულს თავისი სამშობლოსადმი არამხოლოდ ლექსებში, არამედ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც.

იქნებ ეს უცნაურიც ეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მე მაინც ასე ვფიქრობ: ჩვენ, ანას ახლობლებს, ნაცნობებს, კოლეგებს, რამდენი წელიც არ უნდა გვქონოდა დიდ პოეტთან მეგობრობისა თუ ყოფნის ბედნიერება, რამდენი რამეც არ უნდა გვეთქვა და გაგვემხილა ერთმანეთისთვის, რამდენ ფერწერულსა თუ სიტყვიერ ტილოზეც არ უნდა აღბეჭდილიყო მისი სახე, მასთან ურთიერთობით აღძრული განცდები და ემოციები მაინც ჩვენი კერძო ხსოვნის ფუფუნებად დარჩებოდა. ჩვენი თვალსაწიერიდან დანახული დიდი შემოქმედის პორტრეტი იქნებოდა.

ანას ნამდვილი, სრულყოფილი პორტრეტი კი მხოლოდ მისსავე შემოქმედებაში იხატება. რაც შეეხება ცხოვრებასა და ბედისწერას, თავადვე განჭვრიტა ადრეული სიყმაწვილის გარიჟრაჟზე:

**– და როდესაც მზეს შევხედე**
**გვირგვინოსანს**
**ჩემო კარგო, ქვეყანაზე**
**გავჩნდი ოდეს,**
**ბედი ჰქონდეს – თქვა შავთვალა**
**ანგელოსმა**
**ბედი ჰქონდეს – ხა... ხა... ხა... ხა...**
**არასოდეს!**

**როგორც წესი, ასეთია სამყაროში გენიოსთა ხვედრი. ჩვენ შეიძლება, ამაზეც ვიკამათოთ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ანას ღრმად სწამდა – ბედიც და უბედობაც იდუმალების ნაწილი იყო.**

ყველა დიდი პოეტის სულიერი ავტოპორტრეტი თავისი სამშობლოს ისტორიულ ავტოპორტრეტს წააგავს... ამ მხრივ არც ანაა გამონაკლისი. იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ მაინც მგონია, რომ თვით კონგენიალურ თარგმანებშიც კი, მაინც რჩება ძნელად სათარგმნი, ან სულაც უთარგმნელი სიტყვები და სტრიქონები. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც სიტყვა დარდიმანდიც იკმარებდა.

სიტყვა დარდი, რა თქმა უნდა, ითარგმნება, მაგრამ, რას გულისხმობს, რას უნდა ნიშნავდეს **მ ა ნ დ ი** არაქართველისათვის, უფრო ზუსტად, არა ჩვენისთანა ურთულესი



ვისაც სამშობლო ტაძრად
აქვს,
თავი სამსხვერპლო
წილადა,
ქვეყნისა ცრემლი ჭირად
უჩნს,
მისი ღიმილი ლხინადა“.

ილიას სიტყვები ხომ სიყმაწვილიდანვე გულის პირველივე გვერდზე გვაქვს სამარადჟამოდ აღბეჭდილი:

„ერის წყლული მაჩნდეს
წყლულად
მეწვოდეს მის ტანჯვით
სული
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული!

დიდის ღმერთის
საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი
გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო,
ჭმუნვასა და სიხარულში“.

ეს ლექსი, გრაფიკულად გამოსახული, ჯვრის ფორმას იღებს.

აქ შეუძლებელია არ გაგვახსენდეს გალაკტიონის ნაკლებად ცნობილი პოეტური სტრიქონები:

„ძნელია ქართლის ცხოვრება
ეკლიანია სავალი,
ია და ვარდი ცოტაა,
დაბრკოლებაა მრავალი.

კაცი ის არის, ვინც ჰპოვა
ჭირიდან გამოსავალი,
ვინაც თავისად ჩასთვალა
ხალხის თავგადასავალი“.

ჩვენ ამ სტრიქონებზე გავიზარდეთ და როგორც იტყვიან, დედის რძესავით შევიტკბეთ „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“. მაგრამ მაინც მოულოდნელობით აღსავსე აღფრთოვანება და ახლობლობა დამეუფლა წლების მერე, როცა ეს განცდა იერემია წინასწარმეტყველის გოდებაში აღმოვაჩინე:

**„ჩემი სამშობლოს უბედურებამ გამაუბედურა მე...“**

ეს სიტყვები ქართულ კლასიკურ პოეზიას ეპიგრაფადაც შეიძლება წარუმძღვაროთ.

**დიახ, „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“ ისეთივე უძვირფასესი, არქაული, უძველესი, თითქმის თანდაყოლილი ნიჭია ადამიანისათვის, როგორც სიკეთე, სიყვარული, თავდადება, ერთგულება... ეს ნიჭი ან გაქვს, ან არა გაქვს. და ამ ნიჭის უქონლობას მოაქვს ყველანაირი უბედურება ნებისმიერი ქვეყნისთვის.**

გვიან შემოდგომამდე ჩემი ბინიდან თითქმის არც კი მოსჩანს ხეხილით შებურული მისი სარკმელი. საბურთალოს ქუჩაზე, ჩვენს თვალწინ გაცხადებული მისტიკა – თუთის ღონიერი ტოტები ანას აივანზე გადასულან და ირხევიან, როგორც სიმბოლო იმისა, რომ მიუხედავად მღვრიე დროისა, ამ მორალურად და ინტელექტუალურად გაუდაბნოებულ სამყაროში ხეები ჯერაც ენდობიან პოეტებს.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტები **„საქართველოში იბადებოდნენ და მერე მუდამ წუხდნენ ამაზე...“**

მიუხედავად თავს დატეხილი ათასი განსაცდელისა და უბედურებისა, ერთი სიტყვით, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი ხალხი მაინც ახერხებდა დიდი პოეტების იმით გახარებას, რომ სიყვარულის, ახლობლობისა და მადლიერების ნიშნად, მათ მხოლოდ სახელებით მოიხსენიებდა, ლექსებს კი მთელი საქართველო მღეროდა.

ანას სახელი სწორედ დიდი პოეტების ამ თანავარსკვლავედში ბრწყინავს და ღვთის შეწევნით ასე იქნება ყოველთვის, უკუნითი უკუნისამდე!

**2025 წ. 14 თებერვალი**

ისტორიული ბედისა და გამოცდილების მქონე ქვეყნის შვილისათვის, ალბათ გაუგებარია. „მანდი“ ეს ის სულიერი მდგომარეობა და ძალისხმევაა, როცა ყველანაირ განსაცდელს ღვთის შეწევნით არამარტო უძლებ, არამედ მის გამოხატვას ოპტიმისტური წაღიღინებითაც ახერხებ.

საქართველო, პირადად ჩემთვის, უთარგმნელი ლექსია, რომლის ბოლომდე სრულყოფილი მიღება, გაგება და ახსნა, განსხვავებით პოლიტიკოსების, დიპლომატების, მეცნიერებისა და ფილოსოფოსებისგან, მხოლოდ დიდი პოეტების ხვედრია. „ლურჯად ნახავერდები უდაბნოს“ გარდა, გალაკტიონის ოკეანისეული სიღრმის არქივში, როგორც ვარდი სილაში, ისეა ჩაძირული სისხლივით დარდიანი სტრიქონები: **„მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან“**. როგორ გაიგებს უცხოელი მკითხველი ამ დარდს, რომელმაც არ იცის, რას ნიშნავს ნ ა თ ლ ო ბ ა.

ანას მთელი შემოქმედება გარდა სილაღისა, ღვთაებრივი სიმშვიდისა და სიხარულისა, ამ უსაშველო დარდითაა დაშიფრული.

**„ვარ მარად ვარსკვლავთა**
**მჭვრეტელი**
**და ცეცხლით ვივსები იმათებრ...**
**„ო, ღმერთო, ო, ღმერთო საბაოთ,**
**სინათლე, სინათლე, სინათლე!“**
**სულს ხშირად ეახლის უკუნი,**
**მზეც მომეფინება ხშირადვე...**
**„ო, ღმერთო, ო, ღმერთო საბაოთ,**
**სინათლე, სინათლე, სინათლე!“**
**და მტერთა მძლეველი მახვილი**
**ბოროტი გულისკენ მიმართე...**
**„ო, ღმერთო, ო, ღმერთო საბაოთ,**
**სინათლე, სინათლე, სინათლე!“**

ანა, ღირსეული წინაპრებისა და მამულიშვილების მსგავსად ჩვენი სამშობლოს, მშობელი ხალხის ბედნიერებას პირად ბედნიერებად განიცდიდა, ხოლო მის უბედურებას – პიროვნულ უბედურებად. ყველას გვახსოვს აკაკის სულის ქვითინი:

**„საკუთარ ტანჯვად მე მიმაჩნია**
**ჩემი სამშობლოს უბედურება“.**

ვაჟამ რომ ეს სტრიქონები წაიკითხა, აკაკის გაუმხილა:

**„მეც მაგ ტანჯვით ვარ სნეული,**
**რაც შენ გატყვია წყლულადა“.**

ორივეს კი რაფიელ ერისთავი გამოეხმაურა:

**„კაცი ის არის, ვინც მამულს**
**გამოადგება შვილადა,**

# ორი ქვეყნის ეროვნული თეატრების თანამშრომლობა გრძელდება

## რუსთაველის ეროვნულ თეატრსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიურ ეროვნულ დრამატულ თეატრს შორის მემორანდუმი გაფორმდა



**რუსთაველის** ეროვნულ თეატრსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიურ ეროვნულ დრამატულ თეატრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დოკუმენტს ხელი მოაწერეს რუსთაველის ეროვნული თეატრის დირექტორ-განმკარგულებელმა **გიორგი თევზაძემ** და აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური ეროვნული დრამატული თეატრის დირექტორმა **ილჰამ ასგაროვმა**.

შეხვედრას ესწრებოდნენ: რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **რობერტ სტურუა**, საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე**, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ფაიგ გულიევი**, რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი და აზერბაიჯანის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **დავით უფლისაშვილი**, რუსთაველის ეროვნული თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი **გიორგი თევზაძე** და აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური ეროვნული დრამატული თეატრის დირექტორი **ილჰამ ასგაროვი**.

თანამშრომლობის დოკუმენტის მიზანია, სპექტაკლების შემოქმედებითი გუნდების, ცალკეული თეატრის პროფესიის წარმომადგენლების – რეჟისორების, მსახიობების, სცენის მხატვრების და კოსტიუმების შექმნის ძიება, ერთობლივი პროექტების, ფესტივალების, თეატრალური სემინარების ხელშეწყობა, თეატრებში დადგმული სპექტაკლების მიმართ, ევროპისა და მსოფლიო თეატრალური ფესტივალების ინტერესის გაზრდა.

# „ამბავი ცისფერყანწელებზე“

## მწერალთა სახლში ლიტერატურული ლექცია-პერფორმანსების ციკლის პირველი საღამო გაიმართა

**ლიტერატორმა ნინო ჩხიკვიშვილმა** ისაუბრა ცისფერყანწელთა ორდენის დაფუძნების ისტორიაზე, მათ წევრებზე და ცისფერყანწელების წვლილზე ქართულ სალიტერატურო ცხოვრებასა და კულტურული სივრცის გარდაქმნაში. მსახიობმა **ნანა ხურითმა** წაიკითხა ცისფერყანწელთა შემოქმედებიდან ლექსები და იმ ეპოქის ადამიანების მოგონებები.

შეხვედრის პარალელურად, მწერალთა სახლში ლექციის მსმენელებისთვის მოეწყო თემატური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ცისფერყანწელთა ხელნაწერები, მწერლების ფოტოები და მათ მიერ გამოცემული პირველი ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ და „ოცნების ალმანახი“ ასლები.

შემდეგი შეხვედრა გაიმართება 28 თებერვალს, და მისი თემა იქნება პაოლო იაშვილი.



პროექტის მიზანია გააცოცხლოს ცისფერყანწელთა მოღვაწეობა და მსმენელისთვის იგი უფრო თვალსაჩინო გახადოს.

# როდის დაიბადა ქართული კინოს ფენომენი?!

**ბერლინის** 75-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს ტრადიციულად გაიმართა ევროპული კინოს ბაზრობა (EFM), რომელშიც საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დელეგაცია მონაწილეობდა.

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, ქართული დელეგაციის წარმომადგენლებმა საქმიანი შეხვედრები გამართეს საპროდიუსერო კომპანიების, საერთაშორისო კინოფესტივალების, კინოფონდებისა და საერთაშორისო გამოცემების წარმომადგენლებთან მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან (კანადა, აშშ, ინგლისი, იაპონია, ბელგია, საფრანგეთი, ირანი, რუმინეთი, ბულგარეთი, ლატვია, გერმანია, იტალია, შვეიცარია, ინდოეთი, მექსიკა, თურქეთი, ესპანეთი, პოლონეთი).

წელს კინოცენტრის პავილიონი ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, მერაბ კოკოჩაშვილის, 90 წლის იუბილეს მიეძღვნა. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა წელს აღადგინა მერაბ კოკოჩაშვილის ორი ფილმი – „მიხა“ და „მწვერვალი“.

შეგახსენებთ, რომ სწორედ მერაბ კოკოჩაშვილის სახელს უკავშირდება მსოფლიო ასპარეზზე ქართული კინოს, როგორც ცალკე ფენომენის, საბჭოთა კინოსგან გამოყოფა. 1975 წელს ცოლ-ქმარმა გრეგორებმა ბერლინის ცნობილ კინოთეატრში („არსენალი“) მოაწყვეს ქართული კინოკვირეული, რომელიც გაიხსნა მერაბ კოკოჩაშვილის ცნობილი ფილმით – „დიდი მწვანე ველი“.



# გიორგი მამაცაშვილი: ძალიან, ძალიან მწარედ ვინანებთ!

***სოციალურ** ქსელში ერთი პოსტი შემომხვდა – ბიძინა ივანიშვილს დაბადების დღეზე სააკაშვილის გათავისუფლებას უსურვებდნენ.*

*„ძალიან ეშინია და ემანდ, იქნებ ძილი დაუფრთხოსო“, – ამავე პოსტის კომენტარებში წავიკითხე ასეთი ბოდვაც.*

*სააკაშვილი რა ჯოჯოხეთის მაშხალაცაა, კი ვიცით ყველამ, მაგრამ ერთი რამ მომხვდა გულზე.*

*პოსტს ერთი ჩემი მეგობარი და პატივსაცემი ადამიანი იწონებდა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმსაც ებრძოდა, „ქართული ოცნების“ მომხრეც გახლდათ. მერე, ცოდვა გამხელილი სჯობს, ცოტა დაუმსახურებლადაც მოექცნენ კვირიკაშვილისა და გახარიას პრემიერობის წლებში და...*

*საუბედუროდ, ამ „ფეხზე დაკიდების“ მერე ხან ერთთან იყო, ხან მეორესთან და ახლაც ერთ ცხელთავიანს უმშვენებს გვერდს ბიძინა ივანიშვილთან და „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთან ბრძოლის ავანგარდში.*

*რომ ცდება, დარწმუნებული ვარ, თავად ჩემზე უკეთ იცის, მაგრამ საქართველოს მისნაირი პატრიოტი და კეთილისმსურველი რომ იშვიათი ჰყავს, ამაშიც დარწმუნებული ვარ.*

*უბრალოდ, პოლიტიკა ესმის სხვანაირად (უფრო მართებულად თუ ვიტყვი - ცუდად ესმის) და ამ პოლიტიკის ბრალიცაა თუ ჩემი რწმენისა თუ პოლიტიკური შეხედულებების გამო, – ჩემთან ურთიერთობას თითქოს თავს არიდებს.*

*ალბათ, ასე სცოდნია პოლიტიკას.*

*ვუგებ.*

*და არასდროს აზრად არ მომსვლია მისი დაბულინგება და დაჩაგვრა განსხვავებული აზრის გამო.*

*თუმცა, ანალოგიური მე რომ დამმართნოდა, უკვე კითხვა მიჩნდება, – ის როგორ მოიქცეოდა?*



და არა მხოლოდ ის.

თუნდაც ისინი, რომლებმაც გასულ თვეებში მორალი მიკითხეს, მიმტკიცეს, როგორი მართალი გზით დადის ხაზარაძე და როგორი სუფთა სინდისით სძინავთ ღამე ლიაკა ხოშტარიას და ნიკა გვარამიას.

და რომლებმაც სოციალური ქსელიდან წამშალეს.

ან იმათ როგორ გავაგებინო, არ ვიცი, რომლებიც ჩემს „კედელზე“ ათენებენ და ნებისმიერ პოლიტიკურ წერილს ირონიულად აკომენტარებენ.

არ ვიცი, როგორ გავაგებინო, რომ განსხვავებული აზრის ქონა არ ნიშნავს ადამიანის სიძულვილს და არც ბულინგის აუცილებლობაა მაინცდამაინც მიზანშეწონილი.

მე კი ვზივარ და ვშლი მავანთა სარკაზმითა და ირონიით მოწერილ გზავნილებს.

პოლემიკაში შესვლის აზრს რომ ვერ ვხედავ ადრესატთან, ალბათ, მაგიტომაც.

პასუხსაც არ ვცემ.

**იმ ურთიერთობებს მინდა გავუფრთხილდე, რაც ამ დრომდე არსებობდა.**

●

სააკაშვილის რეჟიმს კალმითა და ფოტოაპარატით ვებრძოდი, მაგრამ არასდროს გამჩენია სურვილი, ან კუბოში ჩამედო მისი ფიტული, ან 21 დეკემბერს შავი ბუშტები გამეშვა ცაში სამგლოვიარო არშიებით.

და დღეს რა ხდება?

**სირცხვილი ჰქვია იმას, რაც ხდება.**

**ჩვენი ქვეყნის სირცხვილი.**

**სირცხვილი, რომელსაც ერთი მუჭა (!) ნაძირლების ბინძურ გეგმებს ეწირება ათეულობით ახალგაზრდისა თუ უფროსი თაობის წარმომადგენელთა მორალი!**

ადამიანის სასიკვდილოდ გამეტების იქით ვეღარ იხედებიან და კუბოების მიღმა განსხვავებულ სანახაობას ვეღარ გეგმავენ.

**კუბო – ტორტად.**

**კუბო – ფერებში.**

**კუბო – ჩამოტარებით.**

**კუბო – ცეცხლმოკიდებული.**

**კუბო – ფიტულებითა და ფოტოებით.**

და თოჯინები ნემსის ჩხვლეტით.

ჯადოები და შოუები შესაბამისი სარიტუალო გაფორმებით.

რომ ჰკითხო – გამოხატვის თავისუფლებაა ეს ყველაფერი.

არადა, ავად არიან!

●

ესეც გამოხატვის თავისუფლებაა ვიღაცისთვის, შეიძლება, მაგრამ თუ ოპონენტებთან საბრძოლველად, ნიკა გვარამიასთვის და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისთვის დაშვებული იყო ოდესღაც კვერცხების სროლის მეთოდი, რითი გახდა ახლა დაუშვებელი იგივე მეთოდი მათ წინააღმდეგ საბრძოლველად?!

საინტერესო კითხვაა, მაგრამ რა თქმა უნდა, პასუხის გამცემი არავინაა.

დამეთანხმებით, ცუდი სანახავია კვერცხებში ამოვლებული ყოფილი პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილისა და ყოფილი პრემიერის გიორგი გახარიას ხილვა.

ალბათ, რასაც დასთეს, მართლა იმას იმკი.

თუმცა, მეტსაც გეტყვით: **უარესად საშინელი და ამაზრზენი სანახავია ლაზარესნაირთა ქმედება და პოლიციის წარმომადგენელთათვის „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლა და პოლიციელთა ცოცხლად დაწვის სურვილი.**

**ვნახეთ ეს „კინო“ ჩვენ უკვე და რაც გავიარეთ, თუ მოსწონთ, – ჟიგიმანტასებმა და კუბილიუსებმა იარონ მაგ გზით.**

**უბედურებაა ეს!**

დღევანდელი ე.წ. ოპოზიციის, უფრო სწორად კი – მტრისა და ავისმსურველთა ხელისბიჭებად ქცეულთა მიერ მართული, დაშვებული და წახალისებული უბედურება.

●

არც მოშიმშილე ჟურნალისტის ნახვაა სასურველი.

მით უფრო, ჩემთვის.

**2008 წლის გაზაფხულზე მეც ვშიმშილობდი გამომცემლობა „სამშობლოსთან“, მაგრამ არც პოლიციელისთვის დამირტყამს მაშინ და არც ფოიერვერკის ცეცხლი დამიშენია ვინმესთვის.**

**უგულავას და სააკაშვილის ზონდერების მიერ, ჟურნალისტების მიმართ გამოჩენილ ვანდალიზმს ვგმობდი და იმიტომაც მივმართე პროტესტის უკიდურეს ფორმას.**

**სამწუხაროდ, სააკაშვილის მეხოტბე ჟურნალისტებს თავი არ მოუკლავთ არც ჩემი და არც „სამშობლოდან“ გამოდევნილი ასობით რედაქციისა და ათასობით(!) კოლეგის სოლიდარობით!**

ბევრი გივია თარგამაძისა და ვანო მერაბიშვილის „კარმუშკაზე“ იჯდა და თავს რად შეიწუხებდა?!

●

**არც შევარდნაძის ფიტულის დაწვისთვის დამიკრავს ტაში ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებში და გულწრფელად რომ გითხრათ - არც სააკაშვილის კუბოში „ჩადება“ მომსვლია აზრად არასდროს.**

ეს არაა პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლა.

ეს არც ზნეობრივი გზით დაპირისპირებას ჰგავს ოპონენტთან.

და არც ისაა ჟურნალისტიკა, რასაც ჟურნალისტის მანტიაში გახვეული ზოგი უსახო და უსამშობლო აკეთებს.

●

საუბედუროდ, ბევრმა სახე დაკარგა დღეს.

**„კანვასისა“ თუ „ფრანკლინის კლუბის“ გამოზრდილებმა და მათმა მეგობრებად ქცეულმა**



საქართველოს რესპუბლიკა

**მტრებმა(!) ძალიან ბევრ ღირსეულ ადამიანს სახეც დააკარგვინეს და ნოდარ დუმბაძისეული შუბლის ძარღვიც გააწყვეტინეს.**

მაინც იმედით ვარ.

დალაგდება ეს ქვეყანაც და ეს ხალხიც დაუბრუნდება ამ ქვეყანას.

ვისთვის ქვე-ყანას და ჩემთვის სამშობლოს!

●

არადა, დღეს გამოხატვის თავისუფლებაა მთავარი და ამ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში თავისუფლად შეგიძლია დააბრალო ადამიანს ნებისმიერი რამ.

მერე მან იმართლოს თავი, – შენი რა მიდის?!

●

**პოლიციელებთან პიროტექნიკითა და „მოლოტოვის კოქტეილებით“ ბრძოლა, საჭმელში ჩაფურთხება, გინება და წყევლა, მცირეწლოვანი შვილების ბულინგი და სკოლებიდან აქციებზე გაყვანის მცდელობა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის კუბოების აქეთ-იქით ხრიგინი, პატრიარქისა და სამღვდელოების უბინძურესად მოხსენიება და ლანძღვა, ნებისმიერი ტრაგედიით მანიპულირება და უბედური შემთხვევების კონკრეტულ ადამიანებზე გადაბრალება, მაგიებისა და ჯადო-შოუების მოწყობა საჯარო სივრცეში, შარვლის ჩახდა და უკანალის მიშვერა ნებისმიერი მიზეზით, გასაბერი ეკლესიებისა და სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების ლობირება და პიარი, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების უშვერი სიტყვებით გინება და ლანძღვა, ინტელიგენციისა და ავტორიტეტული ადამიანების დაკნინება და ულირსებად დახატვა, ე.წ. ოპოზიციის აქტიური მხარდამჭერებისა და ე.წ. ბაბლის „ლიდერებად“ წარმოჩენა...**

შორს წავალთ მსგავსი ჩამონათვალით.

ძალიან შორს.

ესაა სამშობლოს მტრებად ქცეულთა მთავარი გზავნილი საზოგადოებისადმი და სამწუხაროდ, ვილაცეებიც იჯერებენ ცხვრის ქურქში გახვეული მტაცებლების ფარისევლური ღიმილის მიღმა მიმალულ ავყიობას.

**ზოგი ფინანსური მდგომარეობის გამო „იჯერებს“ მსგავს იდეათა „კეთილშობილებას“, ზოგიც გულწრფელად არის ცვლილების მომხრე და ბრმა იარაღად ქცეულნი, შეუგნებლად უწყობენ ხელს თანამედროვე მტერთა ბოგინსა და ყორღანაშვილობას.**

რამდენიმე ნაძირალა ამ ლიდერთაგან აქტიურ ბერბიჭაშვილადაც გადაიქცა და ველარც მალავენ ბინძურ ზრახვებს.

●

არადა, ხვალ ისევ თბილისში გავიღვიძებთ ყველა.

**საბედნიეროდ, არც ირკუსტსკში დავლევთ დილის ყავას, არც ხაბაროვსკში გავახელთ თვალს, არც სვერდლოვსკი შეგვეგებება დილის საარით და საბედნიეროდ, არც კუბილიუსებისა და ჯოვილსონების მიერ ნაქებ, მოძალადე და შანტაჟით სავსე „ევროპებში“ გამოგვაფხიზლებს ცხრათვალა მზე.**

**ისევ თბილისში გავიღვიძებთ, მცხეთაში, ბათუმში, თელავში, ქუთაისში, დმანისში, ჭოპორტში, გუდამაყარში...**

ისევ ერთმანეთს უნდა შევხედოთ და ხვალ-ზეგ, ისევ ერთმანეთის მხარდამხარ უნდა ვუგულშემატკივროთ 26 მარტსა თუ 13 მაისს ხვალინდელ ხვიჩასა და ქოჩორაშვილს, მამარდაშვილსა და ტალახაძეს, სანიკიძესა და პეტრიაშვილს, ზივზივაძესა და ასანიძეს...

(იმ ასანიძეს, რომელიც, სხვათაშორის, პარლამენტის დეპუტატი გახლდათ სააკაშვილის პარტიული სიით და რომელიც დღეს მწვრთნელია ივანიშვილის სიით გასული ტალახაძისა!)

**და ძალიან, ძალიან მწარედ ვინანებთ ამ დაკარგულ და ერთმანეთის მტრობით სავსე დღეების არსებობას.**

# P.S.

*ხვალ ისევ მომინდება მერაბ სეფაშვილის „თეთრი რაშის“ მოსმენა. დავივიწყებ, რომ „ქართული ოცნების“ ყველა მხარდამჭერი „ნახ*იზე“გაუშვა ამ ერთი თვის წინ. სააკაშვილს რომ უმღერა – „ჩემი გმირი გიწოდეო“, – ხომ დავივიწყეთ?! ასე დაგვავიწყდება ესეც.*

*ნიკა რაჭველიც იდირიჟორებს ისევ ლიზა ბაგრატიონის კონცერტზე.*

*„ჩემი ცოლის დაქალებში“ აღარ გააშარჟებენ მღვდლებს და გინებაც ქართული სიმღერებით შეიცვლება. ნანი ბრეგვაძე ისევ მადლიერი იქნება ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების. შუა ქუჩაში არცერთი ახალგაზრდა გოგო აღარ მოშარდავს და ვინმე „ვერზილაც“ აღარ მიაფსავს დედაუნივერსიტეტის ეზოში რომელიმე წმინდანის საფლავს. „ქოცების დედის ტყ*ნის დროაო“ - აღარ იმღერებენ ანგელოზივით გოგო-ბიჭები. ბესიკ ხარანაულიც აღარ იკითხავს – „სად არიან შვილებიო“... სადღაც გულის სიღრმეში მინდა მჯეროდეს, რომ სოციალურ ქსელში პოლიტიკურ ინფორმაციებზე მეტად ლექსსა და სიმღერას „გავაშეარებთ“. ტრამპის და პუტინის აზრები სულ ჭიჭევაშაძეზე გვეკიდება. მეგის ქარდავა და მისნაირი ჯალათები პირწმინდად აგებენ პასუხს ჩადენილი სადიზმისთვის. გიული ალასანიას მიერ მოპარული და კაპიკებში ნაყიდი „გეპეი“ ისევ სტუდენტებისა იქნება. სტუდენტები ისევ ომახიანად შემოსძახებენ ჰამლეტ გონაშვილის ხმით „მრავალჟამიერს“ და მთაწმინდაზე, ყოველი წლის 5 იანვარს მუხლს მოიდრეკენ ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთან... დამერწმუნეთ, დენდროლოგიური პარკი ისევ საქართველოში იქნება, ქველმოქმედის მიერ გადარჩენილი უნიკალური ძეგლები ისევ ქართულად იმეტყველებენ... და იდგება ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებული სამების ტაძარი მლოცველთათვის ისევ ავლაბრის მთაზე – როგორც ნიშანი და სვეტი ჩვენი ერთობისა და განუყოფლობისა. როგორც სვეტიცხოველი დგას უბადლო ნიმუშად ქართული ხუროთმოძღვრებისა...*






# უტიფარი ტყუილი სულ რაღაც 1000 დოლარი ღირს!

მეხუთე გვერდიდან

**ასევე, როცა სასამართლოზეა საუბარი: მოუხსნა ევროკავშირმა პოლონეთს სასამართლოსთან დაკავშირებით ის სანქციები და ჯარიმები, რაც დააკისრა? არის პოლონეთში მედიათავისუფლება იმ დონეზე, რა დონეზეც საქართველოშია? მისი ხელისუფლება რომ მოვიდა და პოლონეთის საზოგადოებრივ ტელევიზიას დაერია და გამოყარა რედაქციები და ჟურნალისტები, ეს ამბავი როგორ იკითხება? ამიტომ, დაანებონ თავი საქართველოს და ქართველი მოსახლეობის თვალში ევროპული ღირებულებების ნგრევას. პირიქით, ხელი შეუწყონ ამ ღირებულებების დამკვიდრებას და პრაქტიკაში გადატანას“,** – აცხადებს ირაკლი ქადაგიშვილი.

პოლონელი დიპლომატის განცხადებაზე ამ დრომდე დუმილის პოზიციას ინარჩუნებს პოლონეთის საელჩო. თუმცა, ოპერატიულია, როდესაც საქმე ეხება რადიკალურ ოპოზიციას. ანალიტიკოსების განცხადებით დღეს დასავლეთის ქვეყნების დიპლომატები „დიფ სთეითის“ დღის წესრიგით მოქმედენენ და მათი მიზანია შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველო გახდეს ბრძოლის ველი.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, თუ დაახლოებით ვიცით რას გავს უილსონი, რომლიც საქართველოს კრიტიკაში იღებს თანხებს, პოლონელ დიპლომატზე ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით რა არის მიზანი, მაგრამ ზოგადად, ფულით თუ უფულოდ ეს არის ლიბერალების შეტევა და ერთ-ერთი შეტევის წერტილი არის საქართველო, რომელსაც აღებული აქვს კონსერვატორებისკენ კურსი.

**„კონსერვატორი ლიბერალისთვის არის მეტოქე და უტევს ამ მეტოქეს. მთლად ტრამპს ვერ უტევენ, ღონიერია და აგერ არის პატარა საქართველო, რომელიც ამავე დროს არის კონსერვატიული და შეიძლება გახდეს დარტყმის საგანი. თუკი საყვედურებს დააგროვებენ, შენ ხომ გეტყვიან და გეტყვიან, მერე დაიძახებენ, რომ კონსერვატორები ასეთ არადემოკრატიულ რეჟიმს უჭერენ მხარსო. მაგისთვის უნდათ ახლა შენი დემოკრატიულობის დევალვაცია, რომ მერე ადვილად თქვან, რომ კონსერვატორები ხომ ის ხალხია, ვინც დემოკრატიისაკენ შორს არის და დიქტატურისაკენ მიდიანო.**

**აი, ამის კონკრეტულ მაგალითად უნდიხარ შენ. უბრალოდ, შენს გამო არავინ შეეკამათება, იმიტომ რომ არავინ არ იცის რეალურად რა ხდება. ტრამპი დემოკრატია თუ დიქტატორი მეტ-ნაკლებად შეიძლება დაინახონ, თუმც მასაც აკრიტიკებენ გინდა თუ არა დიქტატორიაო. წარმოიდგინე, შენთან რამხელა არეალია თავისუფალი, მით უმეტეს არავინ არ შეეკემათება და გამწარებული დაგაბრალებენ, რომ ხარ დიქტატორი, ოღონდ ეს იქნება გამოყენებული იმისთვის, რომ მერე განაზოგადონ და თქვან, რომ აი, ზოგადად, კონსრევატიული პოლიტიკა არის დიქტატურის გამეფების პოლიტიკა“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.**

პოლიტოლოგი ამბობს, რომ საქართველომ უნდა შეძლოს, თავი დაიხსნას ამ საგარეო ზეწოლისგან.

**„რეცეპტი არც მე მაქვს, მაგრამ როცა გაძლიერდება ეს ხაზი – კონსერვატიმის სახით, რომელიც ტრამპის სახით ახალდაბადებულია და ფეხს იდგამს რამდენიმე ქვეყნაში, ცოტა უფრო ძლიერი რომ იქნება, მერე ჩვენც თუ შევუერთდებით ამ კონსერვატიულ ნაკადს, ეს იქნება ჩვენი გაძლიერება და თავდაცვის საშუალება. ხომ ხედავთ სრულიად თავისუფლად ტყუიან. კითხვას კი არ სვამენ, ისე ამბობენ, როგორც თვითონ აწყობთ. ტყუილის გამოჭერაში ან სასამართლო უნდა გქონდეს, რომელიც დაადგენს ტყუილია თუ მართალი, ან შენი მომხრეები უნდა გყავდეს, რომლებიც იტყვიან, რომ ტყუისო და შეუტევენ.**

**საერთაშორისო ურთიერთობებში შედეგიანი არის მხარდამჭერების ჯგუფი. უნდა ვიყოთ ერთ მხარეს. ზოგადად პოლიტიკას ეს წყვიტავს – ვის მხარესაც მეტი მხარდამჭერია, ის იმარჯვებს. ამიტომ, საგარეო მიმართულებით მოგვიწევს პოლიტიკის შეცვლა და ახალი პოლიტიკური პარტნიორების შეძენა, რაც მნიშვნელოვანია, ეს არის დიპლომატიური სამსახურების გააქტიურება“, – აღნიშნა ფორ.გე-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

# მეექვსე ზღაპარი



# კვალიფიკაცია დაძლეულია!

**საქართველო – დანია 62:60**
**(19:21, 18:4, 11:20, 14:15)**

**საქართველო**: შენგელია – 19 ქულა, 13 მოხსნა, სანაძე – 16, ბურჯანაძე, ანდრონიკაშვილი – 6-6, ლიკლიკაძე – 5, შერმადინი, ფევაძე – 4-4, ჯინჭარაძე – 2 ქულა. ითამაშა აგრეთვე კორსანტიამ.

**მწვრთნელი – ალექსანდრ ჯიკიჩი.**

**ოქროს ფასიო, რომ იტყვიან სწორედ ამ შეხვედრის შედეგს შეესაბამებოდა და, ჰოი საოცრებავ – თამაშის წინა დღეს გამართული ბოლო ვარჯიშის მიწურულს მიღებული ტრავმის გამო ძირითადი გამთამაშებელი კამარ ბოლდუინი გამოგვაკლდა. როგორც იცით, იგი სულ ახლახან გაქართველდა, მაგრამ უკვე კარგად შეთამაშდა ახალ პარტნიორებთან და ჩვენი გუნდის კომბინაციებიც ნატურალიზებულ ამერიკელზეა აწყობილი.**

ძალაუნებურად უკანასკნელი ევრობასკეტის წინ თორნიკე შენგელიას მიერ მიღებული ტრავმა გაგვახსენდა, რომელმაც ხერხემალში გადატეხა ჯვაროსნები, მაგრამ საბედნიეროდ ამჯერად ყველაფერი კეთილად დასრულდა და ზაფხულ-შემოდგომის მიჯნაზე ზედიზედ მეექვსედ ვითამაშებთ უმაღლეს კონტინენტურ ფორუმზე, რაც ხელისუფლებისგან მალე სათანადოდ დაფასდება.

დიახ, პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ, შარშან ფეხბურთელთა მსგავსად, სახელმწიფოს პრეზიდენტს ღირსების ორდენებზე უკვე წარუდგინეს აღნიშნული წარმატების შემოქმედნი, შერმადინი და შენგელია კი – ბრწყინვალების ორდენებზე.

ალბათ, ბევრი თქვენგანი იკითხავთ და ჩვენც გიერთდებით – მორაგბენი როდისღა დაიმსახურებენ მსგავს პატივს?

რაც შეეხება თვით ფინალის ტოლფას ბრძოლას, წაგების უფლება, უბრალოდ, არ გვქონდა, რადგან მოახლოებული თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის გათვალისწინებით კაცმა არ იცის როდემდე გაგრძელდებოდა სანაკრებო ვაკუუმი და როდისღა ამოვყვინთავდით ელიტაში. დიახ, ფაჩულიას, ცქიტიშვილის, ბოისას, მარკოიშვილის, ცინცაძისა და სანიკიძის თაობის ასაკოვანი ნაშთებიც, ალბათ, მალე დაასრულებენ კარიერას და ვინღა ეყოლებათ უდავოდ პერსპექტიულ ახლებს მაგალითებად?

სხვათა შორის, რეზერვი რომ საიმედო გვყავს, ამჯერადაც დავრწმუნდით, რადგან გამობრძმედილ ლეგიონერებს, უკვე მერამდენედ, ღირსეულად აუბეს მხარი ეროვნული სუპერლიგის წარმომადგენლებმა, მაგრამ გადამწყვეტი ომახიანი სიტყვა, ბუნებრივია, მაინც ძველმა გვარდიამ თქვა.

ბევრი მიიჩნევს, რომ, კონკრეტულად, საკალათბურთო შეხვედრას დაცვა იგებს. თუ მათ დავეთანხმებით, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება მეორე პერიოდის სტატისტიკას, რომელიც გვამცნობს, რომ მართალია დანარჩენი მონაკვეთები დავთმეთ, მაგრამ სნაიპერებით გამორჩეულმა მეტოქემ იმ 10 წუთში მხოლოდ 4 ქულა ჩაგვიგდო. ასე რომ, ეს გახლდათ საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიული მეოთხედი ისევე, როგორც საერთოდ გამარჯვება და ზედიზედ მეექვსედ ევროპასკეტის საგზურის მოპოვება, სადაც ფინეთში, პოლონეთში, ლატვიაში ან კვიპროსზე ბოლდუინიც დაგვემატება, ბითაძეც და მამუკელაშვილიც.

**გილოცავთ!**

# სადღაა სუსტი?




**მართლაც რომ მუხანათი რამაა წუთისოფელი, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევა იყო, როცა ერთი ვაი გახლდათ და მეორე – უი.**

ჩემპიონთა ლიგის პლეიოფების წილისყრაზე მოგახსენებთ, რომელსაც ახალი ფორმატით მიმდინარე ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირის მერვედფინალში ხვიჩა კვარაცხელიასა და პარი სენ-ჟერმენის მეტოქე რეგულარული სეზონის პირველ და მეორეადგილოსნებს, ერთმანეთზე უფრო მრისხანე ლივერპულსა და ბარსელონას შორის უნდა გამოევლინა.

მოხდა ისე, რომ არჩევანი მერსისაიდელთა სასარგებლოდ გაკეთდა, თუმცა ამ წყვილში ფრანგული გრანდი განწირული სულაც რომ არა გვგონია, ნაპოლისა და ბითლზების ქალაქის გუნდის შარშანწინდელი ბრძოლებიც მოწმობს, როცა კვარადონამაც და მისმა მაშინდელმა პარტნიორებმაც გაიბრწყინეს.

წარმატების შემთხვევაში ლუის ენრიკეს შეგირდებს შემდეგ ეტაპზე ბრიუგე – ასტონ ვილაში უკეთესთან მოუწევთ შებმა, რაც ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად გვიჩენს, აღნიშნული წინაღობის დაძლევა კი ნახევარფინალში რეალ-ატლეტიკოში გამარჯვებულთან დუელს გვიქადის.

არანაკლებ საინტერესოდ გამოიყურება ბაიერნ-ლევერკუზენის გარმანული ჯახიც, თუმცა მოტივაციისა და ინტრიგის დეფიციტს არც დანარჩენები უჩივიან.

მოკლედ, ცოტაც მოვითმინოთ და 4-5 და 11-12 მარტიც მალე მოვა.

ამასობაში ებრაელი სპეციალისტის ირის ანტმანის გაწვრთნილ ქალ ჯვაროსანთა ჯერიც დადგა, რომელიც ერთა ლიგის „გ“ დივიზიონის ჯგუფურ ტურნირში ანდორასთან საშინაო მატჩითა და ბოლო წუთებზე მოპოვებული პირველი გამარჯვებით ჩაება – 2:1 0:1-ის შემდეგ.

მალტა – კვიპროსიც ასეთივე შედეგით დასრულდა, 25 მარტს კი ჩვენი ნაკრები სტუმრად კუნძულელებს შეხვდება.

და ბოლოს: საფრანგეთის ლიგა – 1-ში შესანიშნავი მეორე ტაიმით გამოირჩა სენტ ეტიენის ლიდერი **ზურიკო დავითაშვილი**, რომელმაც ბრძოლაში სათადარიგოთა სკამიდან ჩართვა შედეგიან გადაცემათა დუბლითა და ანჟერთან მის პარტნიორთა დაწინაურებაში შეტანილი სოლიდური წვლილით აღნიშნა – 3:2. სამწუხაროდ, გასავარდნი ზონის ბინადარმა მწვანეებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და მე-4 დამატებულ წუთზე ძვირფასი ქულები დაკარგეს – 3:3.

**ესპანეთის სეგუნდა დივიზიონი.** გრანადა – სარაგოსა 2:2. მეორე გოლი სტუმრებს **გიორგი წიტაიშვილმა გაუტანა.**

# ყველგან კვარცხლბეკზე

**ხმალი რომ ქართველ ეტლით მოფარიკავეთა საყვარელი იარაღია, ამჯერადაც დადასტურდა ბრაზილიაში ‘სადაც სან-პაულუში გათამაშებულ მსოფლიო თასზე ჯვაროსანმა პარასპორტსმენებმა 2 ოქრო და 1 ვერცხლი მოიხვეჭეს. ვულოცავთ!**

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ჯერ ჩვენი გუნდის ლიდერმა **ირმა ხეცურიანმა** შეაბიჯა, „ა“ კატეგორიაში კი სულაც ქართული ფინალი გათამაშდა, რომელშიც **ნინა თიბილაშვილმა გვანცა ზადიშვილს** სძლია.

ქართველმა პარასპორტსმენებმა მაღალი კლასი რაპირით ფარიკაობაშიც დაამტკიცეს, სადაც ასევე 3 ჯილდო დაიმსახურეს და საერთო მონაგარი 6 მედლამდე გაზარდეს: **ვერცხლი** – ირმა ხეცურიანი, გვანცა ზადიშვილი. **ბრინჯაო** – ნინა თიბილაშვილი.




# მუხები კარპატებიდან

**2025 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ბორჯღალოსნები 2 მარტს თბილისში, „ავჭალის სტადიონზე“ რუმინეთს დაუხვდებიან. შეხვედრა 15 საათზე დაიწყება.**

რაგბი ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც 2015 წლამდე „ერთა თასი“ ეწოდებოდა, 2000 წლიდან ყოველ გაზაფხულზე იმართება. 2009 წლიდან ჩემპიონი ყოველწლიურად ვლინდება. მანამდე სამჯერ (2003-2008) გამარჯვებული ორი წლის ჯამით გამოვლინდა და შედეგად, 25 წელიწადში სულ 22 ჩემპიონი გვყავს. 2023 წლამდე ჩემპიონატში ექვსი გუნდი მონაწილეობდა, მერე მას ორი მონაწილე დაემატა და დაინერგა ფლეი ოფის სისტემა და ფინალები. აღსანიშნავია, რომ წინა ორივე ნახევარფინალში რუმინეთს მოვუგეთ და ფინალში პორტუგალია დავამარცხეთ.




ჩემპიონატის სტარტზე მისი მოგების მთავარი პრეტენდენტი რუმინეთი იყო, თუმცა მერე ის საქართველომ ჩაანაცვლა. ბორჯღალოსნები ტიტულს ჯამში 16-ჯერ დაეუფლნენ, აქედან ბოლო 8-ს მიყოლებით. რუმინეთმა თასი 5-ჯერ მოიგო, ბოლოს 2017 წელს. ამ გუნდების დავაში პორტუგალია ერთადერთხელ, 2003-2004 წლებში ჩაერია.

ბორჯღალოსნებს 35 წლის განმავლობაში 283 თამაში აქვთ ჩატარებული და აქედან ყველაზე მეტი რუმინეთთან – 29. წლების წინ „მუხები“ ჩვენს მთავარ კონკურენტებად ითვლებოდნენ და პირველი 9 დაპირისპირებიდან 7 მოიგეს (1998-2006 წლები), მერე კი სიტუაცია შეიცვალა.

მას შემდეგ 20 თამაშიდან საქართველომ 17 მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ორი დათმო (2010 და 2017 წლებში). ჯამში ბორჯღალოსნებმა მოიგეს 19 თამაში, ერთი ფრედ დაასრულეს და დათმეს 9; გაიტანეს 71 ლელო და 660 ქულა, თავად კი 38 ლელო და 452 ქულა მიიღეს.

რუმინეთმა თბილისში წარმატებას ბოლოს 2003 წელს მიაღწია (19:6). შარშან მას ნახევარფინალში 43:5 ვძლიეთ, სარეკორდო სხვაობა კი 2023 წლის მსოფლიო თასამდე გამართულ ტესტ-მატჩში დაფიქსირდა – 56:6.

2002 წლიდან ერთმორწმუნე ბორჯღალოსნებსა და „მუხებს“ შორის თამაშდება ანთიმოზ ივერიელის თასი (მსოფლიო თასის და მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის გარდა), რომელსაც დღემდე საქართველო 18-ჯერ, რუმინეთი კი 6-ჯერ ფლობდა.

2025 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე ფინალისტი 1 მარტს, პორტუგალიისა და ესპანეთის შეხვედრაში გაირკვევა.

# სამიზნე - მახაჩევი

**მაშ ასე – ილია თოფურიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სიტყვის კაცია და ამიერიდან UFC-ში მსუბუქი წონის ჩემპიონის ქამრის დასაუფლებლად იბრძოლებს, ანუ შორს არ არის ის დღე, როცა სატიტულო ჩხუბში თვით ისლამ მახაჩევს გამოიწვევს.**

ბუნებრივია, წონის შეცვლის გადაწყვეტილებებს ჰაერიდან არ იღებენ და ამ ნაბიჯის გადადგმას, უპირველესად, საკუთარი ძალების რწმენა ასაზრდოებს. იმედი ვიქონიოთ, რომ ილია მორიგ ოცნებასაც აიხდენს!

# ქამარიც, შანსიც




**ევროპულ ორგანიზაციას OKTAGON MMA-ს უმსუბუქეს წონაში ახალი ჩემპიონი ჰყავს. გენო ადამიამ ბრიტანელ მოქმედ ჩემპიონ სემ კრისს მსაჯთა გაყოფილი გადაწყვეტილებით აჯობა. ქართველმა მებრძოლმა აღნიშნული ორგანიზაციის ეგიდით ზედიზედ მესამე ბრძოლა მოიგო და საჩემპიონო ქამარსაც დაეუფლა.**

ასევე ქართველის გამარჯვებით დასრულდა **იკო სამსონიძისა** და ედგარ დელგადო ხიმენესის დაპირისპირება. სამსონიძემ მეტოქე მძიმე ბრძოლაში, მესამე რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. მან ამ გამარჯვებით OKTAGON MMA-ის ქვემსუბუქი წონის სატიტულო ბრძოლა გაინაღდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი დავით გურგენიძე,
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია,
ენერგეტიკისა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტები,
სტუ-ის სამეცნიერო და აკადემიური წრეები
ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

## თინა მდინარაძე-ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას უცხადებენ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, პროფესორ რუსუდან ქუთათელაძეს და ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, პროფესორ ქეთევან ქუთათელაძეს, ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

უფალმა დაამკვიდროს ქალბატონი თინას უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

## ჯემალ სადაღაშვილი



კიდევ ერთი, ნაღდი, გულიანი კაცი შეუერთდა მარადიულ, ზეციურ საქართველოს. **ჯემალ სადაღაშვილი** იყო ქალაქზე და ქალაქელებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. ძირძველი ნაძალადეველი, უბნისა და ქალაქის ჭირისა და სიხარულის გამზიარებელი, შეჭირვებულთა გვერდში მდგომი და იმედი, თბილი მეოჯახე და ბაბუა.

იგი 1948 წელს დაიბადა, წლების განმავლობაში მუშაობდა „თბილღვინოში“. თბილისელთათვის ლეგენდარული თენგიზ კეკელიძის რჩეული კადრი და უერთგულესი მეგობარი, ყოველთვის გამოირჩეოდა პირდაპირობით, პროფესიონალიზმითა და თანამშრომელთა დიდი ნდობითა და სიყვარულით. შემდგომში გახლდათ (2007-2010 წლებში) თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ყოველთვის გამოირჩეოდა პატივისცემითა და ქალაქელთა უფლებების დაცვით. ჯემალ სადაღაშვილმა საფუძველი ჩაუყარა შესანიშნავ ტრადიციას – პატივისგება გამორჩეული ნაძალადეველების მიმართ, რითაც დიდი სიყვარული დაიმკვიდრა თბილისის ამ ძირძველი უბნის მაცხოვრებლების მხრიდან.

ბოლო წლებში თავისი გამოცდილება და ცოდნა მომავალი თაობის აღზრდას დაუთმო – ასწავლიდა ტექნიკურ უნივერსიტეტში აგროინჟინერიის ფაკულტეტზე. მისი სადოქტორო თემა სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც სამწუხაროდ დაუცველი დარჩა ავადმყოფობის გამო, მეტად აქტუალური და საჭირბოროტო საკითხებზე იყო გათვლილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ შესანიშნავი ადამიანის სული, კაცისა, რომელმაც მართლაც ნათელი კვალი დატოვა მშობლიურ თბილისში.

**მეგობრები**

**პანაშვიდი 24 თებერვალს.**
**გამოსვენება 25 თებერვალს, 2 საათზე.**
**მისამართი: თბილისი. ნაძალადევი. რიონჰესის ქ. N53.**

---

**თენგიზ, ქეთევან ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები სამძიმარს უცხადებენ ნათია და თენგიზ კუჭუხიძეებს დედისა და სიდედრის**

## ვალიდა ვლადიმერის ასულ მაღრაძე-გელოვანის

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**თემურ, კობა, ანიკო, მაკა კუჭუხიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

## ვალიდა ვლადიმერის ასულ მაღრაძე-გელოვანის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.**

---

# ნარკოდანაშაულის ფაქტზე 22 პირი დააკავეს!



**ფარული აუდიო და ვიდეომასალა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. მოსამართლის განჩინების საფუძველზე საკონტროლო შესყიდვის დროს გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ყიდიან ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს.**

ნარკოდანაშაულის ფაქტზე სულ 22 პირია დაკავებული, მათგან 12-ს კი გამოძიება რეალიზაციას ედავება. ბრალდებულებს შორის არიან საქართველოს, ბელარუსის, უკრაინის, იორდანიისა და თურქეთის მოქალაქეები. ნაწილი წარსულში ნასამართლევია.

ჰეროინი, ექსტაზი, მეტადონი, სუბოტექსი – ეს იმ ნარკოტიკული საშუალებების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ამოიღეს. საქმეში მტკიცებულებების სახით დევს, ელექტროსასწორები და სავარაუდოდ, რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხაც.

ბრალდებულთა ნაწილი დანაშაულს აღიარებს და გამოძიებასთან თანამშრომლობს, ნაწილი კი ამ დრომდე დუმილის უფლებას იყენებს.

ნარკოდანაშაულის საქმეზე გამოძიება რამდენიმე მუხლით მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულებს 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრებათ.

---

# ქართველების სისხლიანი ქეიფი შუაგულ ევროპაში




**ვარშავაში,** პარასკევიდან შაბათის ღამის დადგომის წინ, კონსტიტუციის მოედანთან არსებული ქართული რესტორნის წინ ატეხილი ჩხუბის დროს, დანით დაჭრილი სამი პირიდან ერთის გადარჩენა ვერ მოხერხდა. პოლიციის ინფორმაციით, გარდაცვლილი, 31 წლის პიროვნება, საქართველოს მოქალაქეა. საქართველოს მოქალაქეები არიან აგრეთვე დაჭრილები. ვრცელდება ინფორმაცია მომხდართან დაკავშირებით საქართველოს სამი მოქალაქის დაკავების შესახებ.

პრესა მომხდართან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეები ხშირად ფიგურირებენ უცხოელთა მხრიდან ჩადენილ კანონდარღვევებში. მაგალითად, იხსენებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივნის, იაცეკ დობრჟინსკის განცხადებას, რომლის თანახმადაც, 2024 წელს საქართველოს მოქალაქეების დაკავების 1895 შემთხვევა გამოვლინდა.

„2024 წლის ბოლოსთვის პოლონეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საქართველოს 322 მოქალაქეა. მესაზღვრეების გადაწყვეტილებით, გასულ წელს საქართველოს 2589 მოქალაქე გააძევეს პოლონეთიდან“ – აღნიშნავდა იაცეკ დობრჟინსკი.

ამავე გამოცემის თანახმად, ვარშავის მერი რაფალ ტშასკოვსკი ასევე საუბრობდა დედაქალაქში მცხოვრებ ქართველებში კრიმინალურ საქმიანობასთან კავშირის შედეგად წარმოშობილ პრობლემებზე.

---

# ქართველი ყაჩაღები იტალიის დედაქალაქს ძარცვავენ



გასული კვირის განმავლობაში, პოლიციის განყოფილების სასამართლო ექსპერტიზის ჯგუფის გამომძიებლებმა ქურდობისა და ძარცვის შემოწმების დროს 600-ზე მეტი პირი გამოავლინეს, 5 დააკავეს და 2 ოქმი შეადგინეს. დაკავებულებს შორის არიან ქართველებიც.

გავრცელებული ინფორმაციით, ისინი სახლებს ალბანელებთან ერთად ძარცვავდნენ. ჯგუფს სპეციალური გეგმა ჰქონდა შემუშავებული.

როგორც ცნობილია, ქართველები ძარცვის დროს ეძებდნენ ისეთ სახლებს, რომლებიც ცარიელი იყო. ბინის კარზე წებოვან ლენტს ტოვებდნენ, რათა გაეგოთ, რამდენიმე დღის განმავლობაში მფლობელი სახლში მივიდოდა თუ არა. დაკვირვების შემდეგ კი ალბანელების ჯგუფთან ერთად ძარცვავდნენ სახლს.

როგორც პოლიცია ამბობს, მათ ნებისმიერი კარის საკეტის გაღება შეეძლოთ. მათი თქმით, ეს ფენომენი საკმაოდ გავრცელებულია დედაქალაქში.

---

# თბილისში კაცმა ცოლი დაჭრა

**თბილისში** მამაკაცმა ქალი ცივი იარაღით დაჭრა. არსებული ინფორმაციით, 40 წლამდე კაცმა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ცოლს, მათი საერთო შვილის თვალწინ, ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა.

დაჭრილი ქალი კლინიკაში გადაიყვანეს. რაც შეეხება მამაკაცს, ის პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19/108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.







# გორში ორი ახალგაზრდა დაჭრეს

გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, ორი ახალგაზრდა დაჭრეს, ერთი მათგანი არასრულწლოვანი - 17 წლის პირია. დაჭრილები სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# ტატო გრიგალაშვილი ვარშავის ღია პირველობის გამარჯვებულია

**პოლონეთის დედაქალ ვარშავაში ძიუდოში მიმდინარე ღია პირველობაზე ტატო გრიგალაშვილი (90 კგ) ოქროს მედლის მფლობელი გახდა.**



ამ ტურნირზე ქართველმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა 90 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა. ტატომ ექვსივე დაპირისპირება მარტივად მოიგო – ქართველმა ფინალში ნიდერლანდელი ტიგო რენესი დაამარცხა.

იმავე წონაში ფინალურ ბლოკში იჭიდავა ნიკოლოზ დავლაძემაც, მაგრამ მან ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლა ესპანელ როდრიგესთან დათმო.

ვარშავის ღია პირველობაზე სულ 14 ქართველმა ძიუდოისტმა იასპარეზა და გრიგალაშვილის გარდა, ყველა მათგანი ტურნირს უმედლოდ დაემშვიდობა.

# ყველაზე ძვირადღირებული ხილი მსოფლიოში

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხილი რიგ შემთხვევაში ყოველთვიური ქირის ან ძვირად ღირებული ელექტრონული მოწყობილობების ფასს აჭარბებს!**

რეიტინგში უპირობო ლიდერი სამეფო ნესვი იუბარია. 2023 წელს წყვილი სამეფო ნესვი იუბარი 25 ათას დოლარად გაიყიდა, ბოლო აუქციონზე კი მისი ფასი 45 ათას დოლარსაც კი აჭარბებდა.

სიაში მეორე ადგილს ლალისებრი რომაული ყურძენი იკავებს, რომლის მტევანშიც თითო მარცვალი მინიმუმ 20 გრამს იწონის. მტევნის ფასმა დაახლოებით 8 400 აშშ დოლარიც კი შეადგინა.

საზამთრო **Densuke** რეიტინგში მესამე ადგილზეა. საზამთრო მოდის მხოლოდ ჰოკაიდოში, ისიც შეზღუდული რაოდენობით, რაც მის მაღალ ფასს განაპირობებს. საზამთრო **Densuke**-ს მაქსიმალური ფასი 6 000 დოლარსაც კი აღწევს.

# ტიტანიკის ისტორიული ჭაღი მუზეუმშია

**ტიტანიკის ისტორიული ჭაღი, რომელიც 1912 წელს ტრაგიკული ჩაძირვის დროს განადგურდა, ახლა უკვე ნიუ-ჯერსის ლიბერტი საიენს ცენტრშია გამოფენილი**

ათწლეულების განმავლობაში ატლანტის ოკეანის ფსკერზე გამავალი, ეს 20-ფუნტიანი ჭაღი ახლა **„ტიტანიკი: არტეფაქტების გამოფენაში“** ერთ-ერთი მნიშვნელოვან ექსპონატს წარმოადგენს.



გამოფენაზე წარმოდგენილია 250-ზე მეტი არტეფაქტი, რომლებიც ვიზიტორებს საშუალებას აძლევს შეიგრძნონ ტიტანიკის მემკვიდრეობა. ეს გამოფენა მსოფლიოს მასშტაბით უკვე 35 მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა.

გამოფენის ბილეთები მუზეუმში შესვლის გარდა დამატებით 8 დოლარი ღირს



# რომის პაპი კრიტიკულ მდგომარეობაშია

**რომის პაპი ფრანცისკე კრიტიკულ მდგომარეობაშია ასთმური რესპირატორული კრიზისის გამო. მას სისხლის გადასხმა გაუკეთეს, მაგრამ პროგნოზი გაურკვეველია. ამის შესახებ Vatican News-ი იტყობინება.**

რომის პაპმა ფრანცისკემ გახანგრძლივებული ასთმური რესპირატორული კრიზისი განიცადა, რაც ასევე მოითხოვდა მაღალი დინების ჟანგბადის გამოყენებას. სისხლის ანალიზმა ასევე აჩვენა თრომბოციტოპენია, რომელიც დაკავშირებულია ანემიასთან და საჭიროებს სისხლის გადასხმას.

ვატიკანმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ 88 წლის პაპი ჯანმრთელადაა და დღე სავარძელში გაატარა, თუმცა თავს უარესად გრძნობს, ვიდრე წინა დღეს.

# 21 ქრისტიანი კოპტის ისტორიას ფილმად გადაიღებენ



**დოკუმენტური ფილმი „21“ ასახავს 2015 წელს ეგვიპტეში ისლამური სახელმწიფოს მიერ მოკლული 21 ქრისტიანი კოპტის ისტორიას.**

ფილმი ხაზს უსვამს მათი რწმენის სიმტკიცეს და მოწამეობის სიკვდილს, რაც ქრისტიანული რწმენის სიღრმეებს საოცარი სიმძაფრით წარმოაჩენს.

ფილმის რეჟისორი, მარტინ მაკდონაჰი, აცხადებს, რომ „21“-ის მიზანია მაყურებელს გააცნოს ამ მამაცი ადამიანების ისტორია და მათი რწმენის ძალა.

ფილმში ნაჩვენებია ინტერვიუები მათი ოჯახის წევრებთან და ექსპერტებთან, რომლებიც განიხილავენ ამ ტრაგედიის გავლენას ადგილობრივ და გლობალურ ქრისტიანულ საზოგადოებაზე.

„21“ არა მხოლოდ ტრაგიკულ მოვლენებს ასახავს, არამედ გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება რწმენამ ძალა და სიღრმე შესძინოს ადამიანებს უკიდურეს სირთულეებში.

# რა იმალება პიკასოს ნახატში...

## ქალის იდუმალი პორტრეტი, რომელიც აქამდე არ უნახავთ!

**მაღალტექნოლოგიური გამოსახულების ინსტრუმენტებმა გამოავლინა კიდევ ერთი პორტრეტი, რომელიც პიკასოს ნახატში იმალება. მასზე გამოსახულია ქალი, სადაც ნათლად ჩანს მისი თავისა და სხეულის მონახაზი, წერს ფორბეს-ი. მოქანდაკის მეგობრის პორტრეტი თითქმის 125 წლის წინ არის შესრულებული.**

**რა არის ცნობილი ნახატის შესახებ?!**

ნახატი სახელწოდებით „მატეუ ფერნანდეს დე სოტოს პორტრეტი“ (**Portrait of Mateu Fernández de Soto**) თარიღდება 1901 წლით, პიკასოს ცნობილი ცისფერი პერიოდის დასაწყისით, რომელიც გარდამტეხი იყო მის შემოქმედებაში.

„ნახატის შემდგომმა ანალიზმა შეიძლება უფრო მეტი გამოავლინოს ქალის შესახებ ფარულ პორტრეტში, მაგრამ ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, ვინ იყო ის“, – ნათქვამია სტატიაში.

მეცნიერებმა შეძლეს ქალის პორტრეტის აღმოჩენა მოწინავე ინფრაწითელი და რენტგენის გამოსახულების ტექნოლოგიის გამოყენებით. ამან შესაძლებელი გახადა ნათლად დაენახათ მისი თითები და მოხრილი მხრები, ისევე როგორც მისი თმა, რომელიც შეკრული იყო შინიონში (მე-20 საუკუნის დასაწყისში პარიზში მოდური ვარცხნილობა).

„ის შეიძლებოდა ყოფილიყო მოდელი, მეგობარი ან თუნდაც შეყვარებული, რომელიც პოზირებდა პიკასოს ერთ-ერთ ფერად იმპრესიონისტულ სურათში პარიზული ღამის ცხოვრების შესახებ, ან მელანქოლიური ქალი, რომელიც ზის ბარში“, – ნათქვამია ლონდონის ხელოვნების ისტორიისა და კონსერვაციის სპეციალიზებული კოლეჯის განცხადებაში.

**როგორც Forbes-ი წერს, ამ პერიოდის განმავლობაში პიკასო ფერადი ნახატებიდან მუქ სტილზე გადავიდა. იმ დროს მხატვარმა აღნიშნა, რომ მისი მეგობრის თვითმკვლელობამ აიძულა იგი გადასულიყო უფრო მუქ პალიტრაზე.**



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 26 თებერვალს**